

# იაკები +

ყოველთვიური საგანმანათლებლო-საინფორმაციო ჟურნალი ინვალიდების თვეუსაფარი 13



№4 აგვისტო 2009

1713  
2009



UDC(uak) 050-056.  
26+369.25+368. 945-0 -474

## სარედაქციაო საბჭო

თემურაზ მიქიაშვილი  
კარლო მუშკუდიანი

## მთავარი რედაქტორი

თემურაზ მიქიაშვილი  
ტელ: 893335887

ბამომცემელი  
რედაქტორი:

კარლო მუშკუდიანი  
ტელ.: 897203960

საზოგადოებასთან  
უერთიერთობის მენეჯერი:

ნინო კახიძე  
ტელ: 897801802

მარკეტინგის  
მენეჯერი:

იაგო ყურაშვილი  
ტელ: 897012905

ბამომცემელი:

კავშირი „იმედი+“

საპრესო აკტორ  
ინფორმაცია

ქურნალი „იმედი+“

ს.ჩიქოვანის ქ.14

ტელ.: 365627

ელ ფოსტა:

pr\_imediplus@yahoo.com

ქურნალი რეგისტრირებულია  
საქართველოს იუსტიციის  
სამინისტროში

რეგისტრაციის ნომერი:  
01343/12/0726

გაერთიანებული ასამბლეის მიერ მიღებული	2
რეზოლუცია .....	2
გარიყულობიდან თანასწორობამდე .....	4
ანთროპოკოსმიური მედიცინა ადამიანის	
ჯანმრთელობის სამსახურში .....	5
ადამიანის გონებრივი და ფიზიკური	
განუვითარებლობის შედეგები .....	7
ემოციები და სტრესები .....	8
პირველი კონკურსი - გამოფენა-ფორუმი .....	10
ადაპტიკური ფიზიკური აღზრდა ოჯახის პირობებში .....	11
აღნაგობა .....	13
ჰა, ბურთი და ჰა, მოედანი .....	15
კანადა პარაოლიმპიადითვის ემზადება .....	19
პარაოლიმპიური სპორტული თამაშების ქრონიკა .....	20
1 ივნისი ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეა .....	21
თამბაქოს მავნებლობის შესახებ .....	22
საოცრებათა ქვეყანა შეზღუდული შესაძლებლობების	
მქონე მოზარდებისთვის .....	24
ბავშვობას მიბარებული ნათელი ფერები .....	25
ფიზიკური ვარჯიშების სამკურნალო საკორექციო	
ზემოქმედების მექანიზმები .....	26
თითების საერთაშორისო ანბანი .....	28
„შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პრითა სოციალური	
დაცვის შესახებ“ საქართველო კანონში	
ცვლილებების შეტანის თაობაზე .....	28
უსინათლოთა და სუსტადმხედველთა ადაპტიკური	
ფიზიკური აღზრდა და სპორტი .....	29
გადაადგილების ახალი ტექნოლოგიები .....	31
მოზაიკა .....	32

## ურნალი ვრცელდება უფასოდ

გარეკანზე — ვიქტორ კონოვალოვი. მსოფლიოსა და ევროპის  
მრავალგზის გამარჯვებული კულტურიზმში.



იბეჭდება ფონდი ლია საზოგადოება-საქართველოს  
მხარდაჭერით

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის მოსაზრება შეიძლება არ ემთხვეოდეს სტატიის ავტორის მოსაზრებებს. უურნალში გამოქვეყნებული ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებს სტატიის ავტორი. უურნალისტის მიერ ჩანერილი აუდიო მასალა ინახება ერთი თვის განმავლობაში. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები არ მიიღება.

უურნალში გამოქვეყნებული სტატიებისა და ფოტოსურათების გადაბეჭვდა რედაქციასთან შეთანხმების გარეშე აკრძალულია. სარეკლამო მასალების შინაარსსა და სტილზე პასუხისმგებელია შემკვეთი.

ურნალი გამოდის 2009 წლის იანვრიდან

ორმოცდამერვე სესია  
პუნქტი 109

## გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული რეზოლუცია

48/96.

ინვალიდთათვის თანაბარ შესაძლებლობათა უზრუნველყოფის სტანდარტული წესები შეიმუშავა

## მიზნები და შინაარსი:

1. ინვალიდთათვის თანაბარის შესაძლებლობის უზრუნველყოფის სტანდარტული წესები შეიმუშავა გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ ინვალიდთა ათწლეულის მოწყობისას (1983-1992წწ.) შეძენილი გამოცდილების საფუძველზე 2/. არსებული წესების პოლიტიკური და მორალური საფუძველია ადამიანის უფლებათა შესახებ საერთაშორისო ბილი, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის ჩატვლით 3/, ეკონომიკურ სოციალურ და კულტურულ უფლებათა შესახებ საერთაშორისო პაქტი 4/ და საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, კონვენცია ბავშვის უფლებათა შესახებ 5/ და კონვენცია ქალთა მიმართ ყოველგვარი დისკრიმინაციის ლიკვიდაციის შესახებ 6/ ასევე ინვალიდთა მიმართ მოქმედების მსოფლიო პროგრამას.

2. მართალია, ეს წესები არ არის სავალდებულო, მაგრამ ისინი შეიძლება გახდეს საერთაშორისო ჩვეულებრივი სამართლის ნორმები, როცა მათ გამოიყენებს ბევრი სახელმწიფო, რომელთაც გამოხატეს საერთაშორისო სამართლის დაცვის სურვილი. ეს წესები გულისხმობს სახელმწიფოთა მიერ ინვალიდთათვის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფად სერიოზული მორალური და პოლიტიკური ვალდებულებების აღებას. წესები ითვალისწინებს პრინციპებს, რაც ეხება პასუხისმგებლობას, ზომების მიღებასა და თანამშრომლობის უზრუნველყოფას. მათში ასევე განსაზღვრულია სფეროები, რომელთაც აქვთ გადამწყვეტი მნიშვნელობა ცხოვრების დონის, საზოგადოების ცხოვრებაში ყოველმხრივი მონაბილეობისა და თანასწორობის უზრუნველსაყოფად. ეს წესები წარმოადგენს საფუძველს, რითაც ინვალიდებსა და მათ ორგანიზაციებს შეუძლიათ შეიმუშაონ საკუთარი პოლიტიკა და წარმართონ თავიანთი საქმიანობა. ისინი ქმნიან ქვეყნებს შორის ტექნიკური და ეკონომიკური თანამშრომლობის საფუძველს, მათ შორის, გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მეშვეობით.

3. ამ წესების მიზანია ისეთი ვითარების უზრუნველყოფა, როცა ინვალიდ გოგონებს, ბიჭებს, კაცებსა და ქალებს, როგორც საზოგადოების წევრებს, ჰქონდეთ ისეთივე უფლებები და მოვალეობები, როგორიც სხვა პირებს. მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ჯერ კიდევ არსებობს დაბრკოლებანი, რაც საშუალებას არ აძლევს ამ კატეგორიის ადამიანებს განახორციელონ თავიანთი უფლებანი და თავისუფლებანი და ძნელებს მათ სრულყოფილ მონაბილეობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში. სახელმწიფოს მოვალეობაა, რომ მიიღოს აუცილებელი ზომები ამ დაბრკოლებათა აღმოსაფხვრელად. ინვალიდთათვის თანაბარი შესაძლებლობების შექმნა მნიშვნელოვანი წვლილია საერთო ძალისხმევაში, რაც მიმართულია ადამიანთა რესურსების სამობილიზაციოდ მსოფლიოს ყველა ქვეყანაში. როგორც ჩანს, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მოსახლეობის ისეთ ჯგუფებს, როგორიცაა ქალები, ბავშვები, ხანდაზმულები, მოსახლეობის დარიბი ფენები, მუშამიგრანტები, ორი ან რამდენიმე სახეობის ინვალიდობით შეჭირვებული პირები, მკვიდრი მოსახლეობა და ეროვნული უმცირესობანი. გარდა ამისა, დიდი ოდენობით არიან ლტოლვილი ინვალიდები განსაკუთრებული მოთხოვნილებებით, რაც საჭიროებს ყურადღებას.

## ინვალიდთა მიმართ პოლიტიკის ძირითადი კონცეფციები

4. ეს წესები შეიცავს კონცეფციებს, რომელთაც საფუძვლად უდევს ინვალიდთა მიმართ მოქმედების მსოფლიო პროგრამაში ჩამოყალიბებული იდეები. ზოგიერთ შემთხვევაში მათში აისახა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ გამოცხადებული ინვალიდთა ათწლეულის განმავლობაში მომხდარი ცვლილებები.

## ინვალიდობა და ზრომისუნარობა

5. ტერმინი „ინვალიდობა“ თავის თავში მოიცავს სხვადასხვა ფუნქციური შეზღუდვის საგრძნობ რაოდენობას, რაც გვხვდება მსოფლიოს ყველა ქვეყნის მოსახლეობაში. ადამიანები შეიძლება გახდნენ ინვალიდები ფიზიკური, გონიერივი ან მგრძნობელობითი დეფექტების, ჯანმრთელობის მდგომარეობის ან ფსიქიკური დაავადებების შედეგად. ასეთი დეფექტური მდგომარეობა ან დაავადება თავისი ხასიათით შეიძლება იყოს მუდმივი ან დროებითი.

6. ტერმინი „შრომისუუნარო“ ნიშნავს საზოგადოებრივ ცხოვრებაში სხვათა თანაბრად მონაწილეობის შესაძლებლობის დაკარგვას ან შეზღუდვას. ეს გულისხმობს დამოკიდებულებას ინვალიდსა და მის გარემოცვას შორის. ეს ტერმინი გამოიყენება გარემოცვის ნაკლოვანებათა და საზოგადოების მოქმედების მრავალი ასპექტის ხაზგასასმელად, კერძოდ, ინფორმაციის, კავშირის და განათლების სფეროში, რაც ზღუდავს ინვალიდთა შესაძლებლობებს მიიღონ მონაწილეობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში სხვათა თანაბრად.

7. ორი ტერმინის - „ინვალიდობა“ და „შრომისუუნარობა“ – გამოიყენება, როგორც ისინი განსაზღვრულია მე-17 და მე-18 პუნქტებში, უნდა განვიხილოთ ინვალიდობის თანამედროვე ისტორიის თვალსაზრისით. 70-იან წლებში ინვალიდთა ორგანიზაციების ბევრი წარმომადგენელი და ინვალიდობის სფეროს სპეციალისტები მკვეთრად ილაშერებდნენ იმჟამად გამოიყენებული ტერმინოლოგიის წინააღმდეგ. არსებობდა ბუნდოვანება და არეულობა ტერმინების „ინვალიდობისა“ და „შრომისუუნარობის“ გამოიყენებისას, რაც ხელს უშლიდა შესაბამისი პოლიტიკის შემუშავებას ან პოლიტიკური ღონისძიებების განხორციელებას. ეს ტერმინები ასახავდა სამედიცინო და დიაგნოსტიკურ მიდგომებს და უგულებელყოფდა გარემომცველი საზოგადოების არასრულყოფილებასა და ნაკლოვანებებს.

8. 1980 წელს ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიიღო დეფექტების, ინვალიდობისა და შრომისუუნარობის საერთაშორისო კლასიფიკაცია 7/, რაც გულისხმობს უფრო ზუსტ და ამავე დროს შეფარდებით მიდგომას. დეფექტების, ინვალიდობისა და შრომისუუნარობის საერთაშორისო კლასიფიკაცია მკვეთრად მიჯნავს „დეფექტსა: და „შრომისუუნარობას“. კლასიფიკაცია ფართოდ გამოიყენება ისეთ სფეროებში, როგორიცაა რეაბილიტაცია, განათლება, სტატისტიკა, პოლიტიკა, კანონმდებლობა, დემოგრაფია, სოციოლოგია, ეკონომიკა და ანთროპოლოგია. ზოგიერთმა სპეციალისტმა გამოთქვა შეშფოთება იმასთან დაკავშირებით, რომ ამ კლასიფიკაციაში ტერმინის „შრომისუუნარო“ განსაზღვრება შესაძლოა ჯერ კიდევ ითვლება უფრო სამედიცინოდ, რაშიც დიდი აქცენტი კეთდება ინდივიდზე და რომ ის, შესაძლოა, არაადექვატურად ასახავდეს სოციალურ პირობებს ან ინდივიდის მოლოდინსა და შესაძლებლობებს შორის ურთიერთ ხემოქმედებას. ეს და სხვა შეხედულებანი, კლასიფიკაციის გამოქვეყნების 12 წლის შემდეგ, განხილული იქნება მომავალ ფორუმებზე, მისი გადასინჯვის თვალსაზრისით.

9. მოქმედების მსოფლიო პროგრამის განხორციელების გამოცდილებისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ ინვალიდთა ათწლეულის განმავლობაში მოწყობილი განხილვის გათვალისწინებით, შეიძლება ვიმსჯელოთ ცოდნის გაღრმავებასა და ინვალიდობასთან დაკავშირებული საკითხებისა და გამოყენებულ ტერმინთა ცნებების გაგების გაფართოებაზე. ამჟამად გამოიყენებული ტერმინოლოგია მოითხოვს როგორც ინდივიდუალური მოთხოვნილებების (რეაბილიტაცია, ტექნიკური საშუალებების მიწოდება და ა.შ.), ისე საზოგადოებისათვის დამახასიათებელი ნაკლოვანებების (საზოგადოების ცხოვრებაში მონაწილეობის სხვადასხვა დაბრკოლებების) აუცილებელ განხილვას.

## ინვალიდობის თავიდან აცილება

10. ტემინი „ინვალიდობის თავიდან აცილება“ ნიშნავს ღონისძიებათა კომლექსის განხორციელებას ფიზიკური, გონიერივი, ფსიქიკური და სენსორული დეფექტების წარმოქმნის თავიდან ასაცილებლად (პირველი ხარისხის პროფილაქტიკა), ან დეფექტების მუდმივ ინვალიდობაში გადაზრდის ან ინვალიდობის თავიდან ასაცილებლად (მეორე ხარისხის პროფილაქტიკა), ინვალიდობის თავიდან აცილება შეიძლება ითვალისწინებდეს სხვადასხვა ხასიათის ღონისძიებების განხორციელებას, კერძოდ, პირველად სამედიცინო-სანიტარული დახმარების განევას, ნინასამშობიარო და მშობიარობის შემდგომ მოვლას, დიეტოთერაპიის პოპულარიზაციას, ინფექციური დაავადებების საწინააღმდეგო პროფილაქტიკურ ვაქცინაციას, ენდემური დაავადებების საწინააღმდეგო ზომებს, შრომის დაცვისა და სხვადასხვაგვარ სიტუაციაში უპედური შემთხვევების თავიდან აცილების პროგრამებს, პროფესიულ დაავადებათა და შრომის უნარის დაკარგვის თავიდან აცილების მიზნით სამუშაო ადგილების მოწყობას, ინვალიდობის თავიდან აცილებას, რაც გარესა-მყაროს დაბინძურების და შეიარაღებული კონფლიქტების შედეგია.

## რეაგილიტაცია

11. ტერმინი „რეაბილიტაცია“ ნიშნავს პროცესს, რისი მიზანია დაეხმაროს ინვალიდებს მიაღწიონ პტიმალური ფიზიკურ, ინტელექტუალურ, ფსიქიკურ ან საქმიანობის სოციალურ დონეს და მის შენარჩუნებას, რათა ამით მიეცეთ მათ ცხოვრების შეცვლისა და დამოუკიდებლობის ფარგლების გაფართოების საშუალებანი.

რეაბილიტაცია შეიძლება მოიცავდეს ფუნქციების უზრუნველყოფის ან ალდგენის, ფუნქციების დაკარგვისა და უქონლობის ან ფუნქციების შეზღუდვის კომპენსაციის ღონისძიებებს. რეაბილიტაციის პროცესი არ ითვალისწინებს მხოლოდ სამედიცინო დახმარების აღმოჩენას. იგი მოიცავს ღონისძიებათა და მო-

ქმედების ფართო წრეს, დაწყებითი და უფრო ზოგადი რეაბილიტაციით დაწყებული და მიზანმიმართული საქმიანობით დამთავრებული, მაგალითად, პროფესიული შრომისუნარიანობის აღდგენით.

## თანამდებობის შესაძლებლობების უზრუნველყოფა

12. ტერმინი „თანაბარ შესაძლებლობათა უზრუნველყოფა“ ნიშნავს პროცესს, რისი მეშვეობით საზოგადოებისა და გარემომცველი სამყაროს სხვადასხვა სისტემა, ისეთი, როგორიცაა მომსახურება, შრომითი საქმიანობა და ინფორმაცია, ხელმისაწვდომი ხდება ყველასათვის, განსაკუთრებით კი ინვალიდთათვის.

13. უფლებათა თანასწორობის პრინციპი გულისხმობს, რომ უკლებლივ ყველა ინდივიდუმის მოთხოვნილებანი თანაბრად მნიშვნელოვანი, რომ მოთხოვნილებანი უნდა იყოს საზოგადოებაში დაგეგმვის საფუძველი და რომ ყველა სამუალება ისე უნდა იქნეს გამოყენებული, რათა თითოეულ ინდივიდუმს ჰქონდეს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის თანაბარი შესაძლებლობა.

14. ინვალიდები საზოგადოების წევრები არიან და აქვთ უფლება იცხოვრონ თავიანთ თემში. მათ უნდა ჰქონდეთ მხარდაჭერა, რასაც საჭიროებენ ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, დასაქმებისა და სოცია-ლური მომსახურების ჩვეულებრივ სისტემათა ფარგლებში.

ინვალიდთა მიერ თანაბარი უფლებების მოპოვების შემდეგ, მათ ასევე ჰქონდეთ თანაბარი მოვალეობანი. ინვალიდთა მიერ თანაბარი უფლებების მოპოვების შემდეგ, საზოგადოებას უფლება აქვს მათგან მეტი მოითხოვოს. თანაბარ შესაძლებლობათა უზრუნველყოფის პროცესის ფარგლებში აუცილებელია შეიქმნას პირობები ინვალიდთა დასახმარებლად, რათა მათ შეეძლოთ თავიანთი მოვალეობანი სრულად შეასრულონ როგორც საზოგადოების წევრებმა.

## გამოძელებები შემდეგ ნომერები

გარიყულობიდან თანასწორობამდე

დამხმარე კითხვარი პარლამენტარებისთვის

როგორ უზრუნველვყო, რომ ჩემმა მთავრობაბამ ხელი მოაწეროს და მოახდინოს კონვენციის და ფაკულტატურის ოქმის რატიოული კირუბა ან მიუღრთდეს მათ:

- გაარკვიეთ, აქვს თუ არა თქვენს სახელნიშვნოს კონვენციის და ფაკულტატური ოქმის ხელმოწერის ან რატიფიკირების განზრახვა.

• თუ არა, ამგვარი მიზეზების გასარკვევად გამოიყენეთ საპარლამენტო პროცედურა და მიმართეთ თხოვნით მთავრობას დაუყოვნებლივ დაიწყოს სელმონერის და რატიფიცირების პროცესი. იმის გასარკვევად, აპირებს თუ არა მთავრობა შეთანხმებათა რატიფიცირებას და თუ არა, რატომ, შეგიძლიათ ზეპირად ან წერილობით დაუსვათ კითხვა მთავრობას.

- გამოიყენეთ თქვენი უფლება, კერძო ინიციატივით გამოხვიდეთ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

- ხელი შეუწყვეთ აღნიშნულ საკითხზე საპარლა-მენტო დებატებს.

• მობილიზაცია გაუკეთეთ საზოგადოებრივ აზრს კონვენციისა და ფაკულტატური ოქმის შესახებ მათი რატიფიცირების მხარდამჭერი საგანმანათლებლო და საინჟორმაციო კომპანიების მეშვეობით.

• თუ მიმდინარეობს ხელმოწერის პროცედურა, შეამოზნეთ, განზრახული აქვს თუ არა მთავრობას კონვენციასა და ფაკულტატურ იქმთან დაკავშირებით დათქმების გაკეთება. თუ ეს ასეა, დაადგინეთ არის თუ არა და თქმები აუცილებელი და თუ მათი შინაარსი შეესამამება კონვენციისა და ფაკულტატური იქმის საგანსა და მიზანს. თუ დაასკვნით, რომ ისინი უსაფუძვლოა, იმოქმედეთ, რათა მთავრობამ შეკვალოს თავისი პოზიცია.

- თუ რატიფიცირება განხორციელდა, შეამოწმეთ, არის თუ არა ძალაში თქვენი მთავრობის დეკლარირებული დათქმები და რამდენად არის მათი საჭიროება. თუ დაასკვნით, რომ მათი საჭიროება აღარ არსებობს, მათ გასაუქმებლად მიიღეთ შესაბამისი ზომები.

- დარწმუნდით, რომ საჯარო პირებს, სახელმწიფოს წარმომადგენლებს და საზოგადოებას გათვალისწინებული აქვთ, რომ სახელმწიფომ განახორციელოს კონვენციის და ფაკულტატური იქმის რატიფიკირება ან მიუტოდა მათ.

- თუ თქვენმა ქვეყანამ მოახდინა კონვენციის რატიფიცირება ან მიუერთდა მას, მაგრამ ჯერ არ მოუხდენია ფაკულტატური ოქმის რატიფიცირება, დაადგინეთ, რატომ მოხდა ეს და მიიღეთ ზომები იმისათვის, რომ მოიხსნას ბარიერები ფაკულტატური ოქმის რატიფიცირებისათვის, ხელი შეუწყვეთ ფაკულტატური ოქმის დაუყოვნებლივ რატიფიცირებას.

უგანდა ერთ-ერთი იმ 82 ქვეყანათაგანია, რომელმაც 2007 წლის 30 მარტს ხელი მოაწერა კონვენციას. ამჟამად უგანდაში მიმდინარეობს კონვენციის რატიფიცირების პროცესი. კონვენციის შესრულება იქნება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის ისეთ მოდელზე გადასვლის მანიშნებელი, რომლის საფუძველია ლირსება, დისკრიმინაციის დაუშვებლობა, სრულფასოვანი მონაწილეობა, პატივისცემა, თანასწორუფლებიანობა და ხელმისაწვდომობა. აღნიშნულ პრინციპთა პატივისცემა ხელს შეუწყობს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ყველა ადამიანის უფლებების რეალიზებას და მათ ინტეგრირებას საზოგადოებაში.

# ათონობრივი მედიცინური ადამიანის ჯანმრთელობის სამსახურში

Digitized by srujanika@gmail.com

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ენერგონინფორმაციულ მეცნიერებათ  
საერთაშორისო აკადემიის ნამდვილი წევრი, აკადემიკოსი,  
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფიზიკური  
მედიკინის დეპარტამენტის ხელმძღვანელი


### გამოძლება, დასაწყისი №3

ადამიანის მიერ ზეციური ცოდნის აღიარება და ლირსების კოსმიური კოდექსის გატარება მიწიერი ცხოვრების გზაზე საშუალებას მისცემს მას შეინარჩუნოს ფსიქოფიზიკური ჯანმრთელობა და გახდეს საზოგადოების აქტიური წევრი.

თუ გავითვალისწინებთ ზემოთქმულს ადამიანი წარმოადგენს ფიზიკურ სხეულს ანუ სხეულს გონის ანუ ერთის მხრივ ცნობიერებას და ფსიქიკას და მეორეს მხრივ სულს ანუ ჩვენს ემოციებს გრძნობებს უპირატესად ქვეცნობიერს. სწორედ ეს არის ღვთაებრივი მარცვალი, რომელიც უხილავად არსებობს წებისმიერ ცოცხალ არსებასა და სამყაროს წებისმიერ ობიექტში.

თანამედროვე მეცნიერებაში უკვე დადგა ის დღო რომ აუცილებლად საჭიროა გამოვიდეთ იმ პრიმიტიული მატერიალისტური წარმოდგენიდან როცა ვქადაგებთ, „ადამიანი იწყება და მთავრდება ფიზიკური სხეულით.“ სინამდვილეში კი ადამიანი ძალზე რთული ინფორმაციული-ენერგეტიკული სისტემაა. ადამიანის ორგანიზმი შედგება 2-5% ფიზიკური სხეულისა და ცნობიერებისაგან, ხოლო დანარჩენი პროცენტული მაჩვენებელი მოდის ქვეცნობიერების ინფორმაციულ-ენერგეტიკულ გარსებზე, ჩვენთვის იმდენად უცნობზე, როგორიცაა თვით სამყარო.

ანთროპოგოსმიურ მედიცინას ჩვენ განვიხილავთ, როგორც ადამიანის სხეულის მედიცინისა და სულის მედიცინის დიალექტიკურ ერთიანობას, რომელიც ინტეგრაციული მიღვმერთ უნდა განაპირობებდეს სხეულისა და სულის ჯანმრთელობის შენარჩუნებას!



ანთროპოკონსმიური მედიცინის მეთოდოლოგიური მსოფლიმშედველობა უნდა დაეყრდნოს დღემდე დავი- წყებული აზროვნების პრაქტიკაში დამკვიდრებას კერძოდ სულისა და ფიზიკური სხეულის ერთიანობას ადამიანის ნორმალური ცხოველმოქმედების წარმა- როვაში. საინტერესო ისტორიულ ფაქტად რჩება ის, რომ წარსულში ფილოსოფია, რელიგია და მედიცინა ერთმთლიანობის სიბრტყეში განიხილებოდა. ერთი ადამიანი - ექიმი, თავის თავში ყველა ამ ცოდნას აერთიანებდა და ის კარგადაც მეურნალობდა. ამას პიპოკრატეს სიტყვებიც ადასტურებს „ფილოსოფოსი- მედიკოსი ღმერთის სადარია“. დღეს კი რა ხდება: ექიმი აკეთებს ოპერაციებს, ინიექციებს, ნიშნავს... მედიკამენტებს, ასრულებს სხვადასხვა ინსტრუქციებს და დაკავებულია მთლიან ფიზიკური სხეულის პრობლემებით. მედიცინა კი სულ უფრო და უფრო სცილდება თავის მთავარ დანიშნულებას უმეურნალოს ადამიანს, რადგან ის, პირველ რიგში სულის მატარებელია და სამყაროს ერთიანი ენერგეტიკული ველის შემადგენელი ნაწილი. ამ პრობლემის გადაწყ ვეტა ჩვენი აზრით შესაძლებელია ანთროპოკონსმიური მედიცინის ინტეგრირებული ცოდნის მიზანმიმართული შესაძლებლობების გამოწენებით, რაც დაფუძნებული უნდა იყოს ბიოპოლოგრაფიული კვლევის მეთოდო- ლოგიაზე. ამ მეცნიერულმა მიმართულებამ სა- ფუძვლიანად დაამტკიცა ის, რომ სიცოცხლე წარმოუ- დგენელია ორგანიზმის ტალღური სტრუქტურის ფუნქციონირების გარეშე და რომ სიკვდილის მომენტში ტალღური ფანტომი მთლიანად ქრება, გამოსხივდება. ხოლო წარკონის დროს ის გადადის უფრო დაბალ ენერგეტიკულ დონეზე.

ბიოპილოგრაფიამ საფუძველი შეუქმნა ბეო-ტო-  
მოგრაფიის დიაგნოსტიკური მეთოდის შექმნას (ბეო-  
შემოკლუბული ჩანაწერია რაც ბიოლოგიურ ემისიასა  
და ოპტიკურ გამოსხივებას ნიშნავს), რომელიც სხვა  
არსებული ყველა დიაგნოსტიკური მეთოდებისაგან  
განსხვავდება იმით, რომ არ იკვლევს რეალურ ფიზიკურ  
სხეულს, არ ზომას მის ენერგეტიკულ თუ ფუნქციურ  
პარამეტრებს. ბეო-ტომოგრაფია ახლებურად აშენებს  
ცოცხალი სისტემის ფუნქციონირების თვისებებს,  
კერძოდ მოცულობითი დინამიკური ჰოლოგრაფიის  
პრინციპებს, სადაც ორგანიზმის თითოეული მისი  
ნერტილი მყისეულად იღებს ინფორმაციას მთელ

სისტემაზე და იმაზე, რაც ხდება მის ცალკეულ ნაწილებში. შესაბამისად, ადამიანის თთის პოლო ფალაგზე პროცესირდება ადამიანის ყველა ორგანო და ამ ორგანოს ყველა წერტილი.

სული (ჩვენი გაგებით სხეულის პოლოგრამა) ამყარებს ენერგონინფორმაციულ ცვლას ადამიანსა და კოსმიურ გონს (უდიდეს ინფორმაციულ პოლოგრამას) შორის. სული, როგორც ცოცხალი სუბსტანცია, პოლოგრაფიული ველის საშუალებით აპროექტებს და ქმნის თვის ინდივიდუალურ ბიოქიმიურ სხეულს. თვით ჯოლოგრამა ჯერ კიდევ წარმოშობა ფიზიკური სხეულის ჩამონალიბებამდე. უხეშად რომ გამოვთქვათ-ინფორმაცია, რომელიც შედის ემბრიონში გარედან, მის ქრომოსომებს აიძულებს შექმნას გარკვეული ტალღური ხასიათის გამოსახულება. ეს „პოლოგრამა“ კარნაზობს ემბრიონის გასაყოფ უჯრედებს, როდის და საითვენ უნდა გაიზარდოს ზედა და ქვედა კიდურებითავი და ა.შ.

ბერ-ტომოგრამა (პოლოგრამა) ფოტოსურათისაგან იმით განსხვავდება, რომ მისი თითოეული ცალკე აღებული ნაწილის განათებისას სივრცეში წარმოიქმნება მთლიანი სხეულის სამგანზომილებიანი ტალღური ასლი (ფანტომი). ამ გამოსახულების მიღება შეიძლება მომენტალურად და ფირრის მცირე უბნიდანაც კი. აღმოჩნდა, რომ ადამიანის ტალღური ორეული დინამიკური პოლოგრამის თვისებებს ამჟღავნებს, ამიტომ მისი მიღება და დაფიქსირება შესაძლებელი გახდა თითების დაბოლოებებიდან. ფანტომური სხეული ასახავს ფიზიკური სხეულის იმ უბნების სტრუქტურას, სადაც დარღვეულია ქსოვილებისა და ორგანიზმის ფუნქციონირების ნორმალური რიტმი. იმის გამო, რომ პოლოგრამაში ერთი და იგივე მეორდება ყველა მასშტაბში მცირე უბნის დეფორმაციაც კი ცვლის მთლიანი ორგანიზმის პოლოგრამის სტრუქტურას, ხოლო, როდესაც იცვლება მთლიანი პოლოგრამა შესაბამისად რეაგირებს ყველა მისი შემადგენელი ნაწილი. ორგანიზმის ტალღურ სტრუქტურაში არ არის დიდი განსხვავება მცირესა და დიდს შორის-ერთი და იგივე მეორდება სხვადასხვა მას შტაბში (ანუ საქმე გვაქს ენ. ფრაქტალთან), ამიტომ ორგანიზმის პოლოგრამის დაფიქსირება სხეულის ნებისმიერ ნერტილშია შესაძლებელი. ეს საოცარი თავისებურება მხოლოდ „ჩაკვეტილ“ დინამიკურ ტალღებს ახასიათებს. ფაქტობრივად, ყველა ორგანო და უჯრედი ერთმანეთთან დაკავშირებულია ვირტუალური სურათების - ბიოპოლოგრამების მეშვეობით და ასე ვრცელდება ოპერატორი ინფორმაცია ნებისმიერი ცვლილებების შესახებ ორგანიზმის შიგნით.

ადამიანის ორგანიზმის მთლიანობა სწორედ ტალღური ინფორმაციული სისტემის წყალობით იქმნება. ეს არის ბუნების მიერ შემუშავებული და დახვეწილი ინფორმაციული ქსელი. პოლოგრაფიული ენა უნივერსალურია ჩვენს სამყაროში, იგი აწვდის სამოქმედო დირექტივებს ნებისმიერ ცოცხალ და არაცოცხალ სისტემებს. ორგანიზმში არსებული უჯრედების გარშემო წარმოშობა „უძრავი ლე-ტონური ტალღები“ ანუ კვანტური პოლოგრამა,

რომელიც იმეორებს სხეულის გეომეტრიასა და სტრუქტურას. თითოეული პოლოგრამა შეიცავს სრულყოფილ ინფორმაციას სხეულის შესახებ და მისი ინფორმაციული ორეულია.

ბერ-ტომოგრაფიის მეთოდმა, რომელიც ნოვა-ტორული მიღვინით შექმნეს ქართველმა მეცნიერებმა (მ.შადური, გჭიჭინაძე) ახლებურად წარმოაჩინა ადამიანის ორგანიზმის ცხოველმოქმედების სამყაროსეული კრიტერიუმები, რამაც ხელი შეუწო ინტეგრაციული ხიდის გადებას აღმოსავლურ მედიცინასა და დასავლურ (კლასიკურ) მედიცინას შორის.

ამრიგად, დღევანდელ დროს მსოფლიო მეცნიერება გადავიდა თავისი განვითარების ახალ ეტაპზე, რომელიც ხასიათდება ინტეგრირებული ცოდნის შექმნის მცდელობით, რომელიც უნდა იყოს მიღებული კომპლექსური სამეცნიერო დისციპლინების წარმოშობის ხარჯზე და რაც ერთდროულად თავის თავში გაართიანებს სხვადასხვა მეცნიერებისა და სამეცნიერო მიმართულებების მეთოდებს, ცნებებს, თეორიებსა და პრაქტიკულ მიღწევებს.

თანადროვე მეცნიერება პირამიდის მსგავსია, რომლის მწვერვალზე დრომ და მეცნიერულმა ცოდნამ წინ უნდა წამოსწოროს პარაფსიქოლოგიის დისციპლინა. ის თავის თავში აერთიანებს ფსიქოლოგიისა და მედიცინის, ფიზიკისა და ბიოლოგიის, ფილოსოფიისა და კოსმოგონიის საკვანძო საკითხებს და პრობლემებს. პარაფსიქოლოგიის პრობლემები თვისოპრიგად აირეკლავს ჩვენს გარშემო მყოფი ბუნების, ჩვენს შიგნით და გარეთ არსებული სამყაროს რთულ დედაპარას, რომელიც დიალექტიკური კანონზომიერებით აკავშირებს ცოცხალსა და არაცოცხალს ერთმთლიანობაში.

21-ე საუკუნე უკვე მზად არის იმისათვის- რომ ხელი შეუწყოს კლასიკური (დასავლური) და ტრადიციული (აღმოსავლური) სამედიცინო აზროვნების ინტეგრირებას რათა დროულად და ეფექტურად გადაწყვდეს ადამიანების დაავადების დიაგნოსტირება და თერაპიული მკურნალობის ჯერ კიდევ გადაუწყეტი პრობლემები. ამისათვის საჭიროა ჩამოყალიბდეს მკურნალ-სპეციალისტთა მაპროფირებული ჯგუფი, როგორც დასავლური (კლასიკური), ისე აღმოსავლური (ტრადიციული) მედიცინის მხრიდან, შეიქმნას ინტეგრირებული სამედიცინო სწავლების პროგრამა ანთროპოგოსმიურ მედიცინაში და განხორციელდეს მისი თეორიულ-პრაქტიკული რეალიზაცია ჯანდაცვის სპეციალიზებულსტრუქტურებში ეს იქნება სამედიცინო უნივერსიტეტი, თუ სამკურნალო პროფილაქტიკური დაწესებულებებში.

**ბატონ იგორ დოლიძეს ახლახანს შეუსრულდა 70 წელი. რედაქცია გულწრფელად ულოცავს ამ საიუბილეო თარიღს და უსურვებს ჯანმრთელობას და ნაყოფიერ მოღვაწეობას.**

# ადამიანის გონიერი და ფიზიკური განევითარებულობის გაღვევენი

თეიტურაზ მიქიაშვილი

გამოცემის დასახური №3

ადამიანის სპეციფიკა და შემოქმედებითი წარმატება მთლიანად არის შეპირობებული მისი სოციალური ცხოვრებით. თვით მისი არსი განისაზღვრება სოციალური მიმართულებათა ერთობლიობით. აქედან გამომდინარე, ადამიანის გონებრივი და ფიზიკური განვითარების დონე, დაკავშირებულია მისი სოციალური ცხოვრების დონესთან, მასთან ურთიერთკავშირში მყოფი ადამიანების სიმწიფის ხარისხთან.

მრავალი მაგალითის მოყვანა შეიძლება ისტორიული პიროვნებების ცხოვრებიდან, სადაც ნათლად ჩანს სოციალური გარემოს უდიდესი მნიშვნელობა მათი, როგორც ისტორიულ პიროვნებად ჩამოყალიბების საქმეში.

როდესაც ჩარლზ დარვინმა ბუნებრივი შერჩევის მკაცრი კანონი აღმოაჩინა და მძლავრის სუსტიზე გამარჯვების აუცილებლობა ცხადი გახადა, ჰუმანისტებმა ამ მეცნიერულ აღმოჩენაში სატანური ძალების გააქტიურების საფრთხე დაინახეს და ბუნებრივი შერჩევის სისასტიკეს, ადამიანისადმი ღვთით ბოძებული ურთიერთთანადგომის, ურთიერთგატანის, ურთიერთდახმარების ხალხური თვისებები დაუპირისპირეს. ასეთი თვისებები მეტნაკლები სისრულით ღმერთისაგან ყველა ხალხს აქვს ბოძებული და ასევე მეტნაკლები სისრულით ავლენს თავისი ისტორიული განვითარების პროცესში.

საპერძეოთის ანტიკურ სპარტაში, იმ დროინდელი ცხოვრების წესჩვეულებიდან გამომდინარე, ფიზიკურად სუსტ ან ნაკლის მქონე ახალშობილს სიცოცხლეს უსპობდნენ და ამით საკუთარ საზოგადოებას და სახელმწიფოს ანთავისუფლებდნენ მათზე ზრუნვისაგან. ამ მოქმედებით, მართალია, სპარტის მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა ფიზიკურად უნაკლო და ჯანმრთელი იყო, რაც უდაოდ დიდი საფუძველი იყო მათი მტერზე მრავალრიცხვანი გამარჯვებისა, მაგრამ აკლდა მთავარი. აკლდა ის, რაც სხვა დიდ თვისებებთან ერთად, ერის სრულფასოვნებას განსაზღვრავსა კლდა სულიერება, რომელიც ერის სიდიადეზე მიუთითებს.

სპარტის, როგორც სახელმწიფოს პირისაგან მინისა აღგვის მიზეზიც ალბათ სულიერების დეფიციტი უნდა იყოს, რომელიც დაამშვენებდა უდაოდ ამ მეომარ და გაუტეხელ სახელმწიფოს.

გენერალისიმუსი ალექსანდრე სუვოროვი დიდი რუსი მხედართმთავარი, სუსტიდაუმწეობავში იყო დაბადებიდან. სუვოროვი რომ ძველ საპერძეოში შობილი იყო, სპარტელები, ტაიგერის კლდიდან



გადააგდებდნენ, როგორც შემდგომ რომაელები ისროდნენ დამნაშავეებს ტარპეის კლდიდან. ასეთი იყო ძველი სპარტის მკაცრი კანონი, ყველა სუსტი ყრმა კვდებოდა.

პირველ რიგში, ის საზოგადოება, რომელშიც სუვოროვს ბედმა არგუნა დაბადებული იყო, იმდროინდელი ეპოქის შესაბამისად მაღალზნეობრივ, მაღალსულიერ საზოგადოებას წარმოადგენდა და არ გაიმტა იგი დასალუპად. შეუქმნა შესაბამისი პირობები პიროვნების ჩამოსაყალიბებლად.

სუვოროვმა, არმია ალპებზე გადაიყვანა. მანამდე არმია ალპებზე ჰანიბალმა და ნაპოლეონმა გადაიყვანეს, მაგრამ ეს სარდლები ახალგაზრდები იყვნენ. სუვოროვმა კი ეს გმირობა ჩაიდინა 70 წლისამ, თანაც ქარბუქები და ყინვაში. რუსეთის სამხედრო ისტორიაში შესულია გადასვლა სენ-გოტარდის უდელტეხილზე. გამარჯვება ეშმაკის ხიდზე. ნოვოსთან გამარჯვება სახელოვან გენერალ უბერთან და სხვა მრავალი გამარჯვებები. როგორ ახერხებდა სუვოროვი მტერზე უმაგალითო გამარჯვების მოპოვებას, როგორ ლაშქრობდა ალპებზე 70 წლის სარდალი? არა მარტო იმით, რომ მას გენიალური სარდლის ნიჭი ჰქონდა. არამედ იმითაც, რომ განუწყვეტლივ ვარჯიშობდა და იკაუებდა ორგანიზმს. ხშირად ეძინა ჩალაზე, ბანაობდა ყინულჭრილში, თოვლით იზელდა ტანს. შუალამისას მოახტებოდა უბელო ცხენს და დააქროლებდა ბანაკში და თანაც თავსხმა წვიმაში. სუვოროვს შეეძლო ცხელ აბანოში მიეღო ორთქლი სულ ზედა თაროზე. შემ

დეგ კი პირდაპირ გადაშვებულიყო თოვლის ზვინში.

რა მოხდებოდა რომ უმწეო, სუსტ სუვოროვს სპარტანული წესით გასწორებოდნენ? არა მარტო რუსეთი, მსოფლიო დაკარგავდა უნიჭიერეს პიროვნებას, რომელმაც სამხედრო საქმე ხელოვნებამდე აიყვანა. შექმნა სამხედრო ხელოვნების სისტემა, რომელზედაც აღიზარდნენ და აღიზრდება მრავალი გამოჩენილი სამხედრო მოღვაწე და მხედართმთავარი.

დიდი ინგლისელი პოეტი, ჯორჯ ნოელ გორდონ ბაირონი კოჭლი იყო დაბადებიდან. საზოგადოების მხარდაჭერით ის ფიზიკური ნაკლი, რომელიც ბაირონს გააჩნდა, თითქმის შეუმჩნეველი გახდა. დაბადებიდან ფიზიკური წვრთნისა და ვარჯიშის შედეგად შესანიშნავი მოკრივე და მოცურავე გახდა. მან დაუმტკიცა საზოგადოებას, რომ მარტო ჩვეულებრივ ადამიანებს კი არა, არამედ ფიზიკური ნაკლის მქონე პირებსაც შეუძლიათ იგივე ვაჟა-ცობისა და გმირობის ჩადენა, როგორიც ლეგენდებშია მოხსენებული.

დარდანელის სრუტე, რომელიც ჰყოფს ევროპას აზისაგან, ცნობილია თავისი სწრაფი დინებით. წყლის დინება სრუტეში აღწევს საათში დაახლოებით 5 კილომეტრს.

ძველი ბერძნები, აღნიშნულ სრუტეს, ჰელესპონტს ეძახდნენ. ჩვენამდე მოაღწია ლეგენდამ გულად ლეანდრეზე, რომელიც ყოველ დამე გადაცურავდა ხოლმე ჰელესპონტის სრუტეს და ხვდებოდა თავის საყვარელ ჰერასდამისს. წყალში გზა რომ ეჩვენებინა, ჰერასდამისი გორაკზე ანთებდა ჩირალდანს. ერთხელაც, ქარიან ამინდში ჩირალდანი ჩაქრა და ლეანდრე, რომელსაც გზა აებნა, წყალთან ჭიდილ ში დაიღუპა.

ითვლებოდა, რომ ჰელესპონტის (დარდანელის) სრუტის გადაცურვა, მხოლოდ ლეგენდარულ გმირს

შეეძლო. ჩვეულებრივი მოკვდავი ადამიანისათვის კი შეუძლებელს ნარმოადგენდა.

1810 წლის 3 მაისს ჯორჯ ბაირონმა ეს შეძლო მთებში თოვლის დნობის გამო სრუტეში წყალი ძალზე ცივი იყო. წყლის დინება დიდ დაბრკოლებას უქმნიდა მოცურავეს, მაგრამ იგი ვაჟა-ცურად ებრძოდა სტიქიას. წყალთან რამდენიმე საათის ბრძოლის შემდეგ, იგი მცირე აზიის ქვიან ნაპირზე ამოვიდა.

მიუხედავად თანადაყოლილი კოჭლობისა, ბაირონი თავის დროის შესანიშნავი მოცურავე იყო. იმაზე, თუ როგორ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა იგი ამ მოვლენას, შეიძლება ვიმსჯელოთ დედისადმი მინერილი წერილით – “მე ამის შესახებ ორჯერ მოგწერეთ, რადგან მე ამ დიდებით უფრო ვამაყობ, ვიდრე სხვა რამით”.

ჩვენ არ ვლაპარაკობთ მის გენიალურ პოეტურ მემკვიდრებაზე. ხაზს ვუსვამთ მხოლოდ იმას, თუ რის მიღწევა შეუძლია სუსტი, უმწეო ადამიანს, თუკი მას დიდი საზოგადოება არ მოაკლებს ყურადღებას და მზრუნველობას. რა მოხდებოდა, რომ უმწეო, სუსტ ბაირონს სპარტანული წესით გასწორებოდნენ, ან უბრალოდ, ჩრდილში მიეგდოთ, როგორც გამოუსადეგარი ადამიანი?

ხომ ვერ ეღირსებოდა მსოფლიო იმ შესანიშნავ და გენიალურ ქმნილებას, რომელსაც ბაირონის პოეზია ჰქვია?

ასეთი მაგალითების მოტანა მრავლად შეიძლება. ეს ფაქტები იმას ადასტურებს, რომ, როგორიც იქნება ადამიანთა ურთიერთკავშირი და ურთიერთზეგავლენის შესაძლებლობები ადამიანისათვის მისაღები ზნეობრივი კატეგორიებით აღჭურვილი საზოგადოება, ადამიანის გონებრივი და ფიზიკური განვითარების დონე ადეკვატური იქნება იმ საზოგადოების რაობისა, რომლის ნარმა-მადგენე ლიც თვითონ იქნება.

## ემოციები და სტრესი

ნონა ოძონაშვილი

ემოციებს ადამიანის ცხოვრებაში დიდი ადგილი უჭირავს. როდესაც ვლაპარაკობთ ემოციებზე ვგულისხმობთ ადამიანის სულიერ განცდებს, მის მღელვარებას, მწუხარებას, სიხარულს, აღფრთოვანებას, მრისხანებას, სიძულვილს და სიყვარულს. ემოციებს ახასიათებს ნებისმიერი რეაქცია გარემო სინამდვილესთან. მოქმედებს შრომის, დასვენების, მკურნალობის, რეაბილიტაციის ჯანმრთელობის და სიცოცხლის ხანგრძლივობაზე.

ადამიანის ემოციური სამყარო მრავალნაირია. ჩვენი განწყობილება, საერთო ემოციური მდგომარეობა, სიმხევე ან მოთენილობა, მხიარულება ან მოწყენილობა ნარმოიშობა სხვადასხვა მიზეზე-

ბით: ცხოვრების პირობებით, ცხოვრებაში ნარმატებით ან ნარუმატებლობით, ხშირად ჯანმრთელობის მდგომარეობით. ადამიანს ცხოვრების მანძილზე თან სდევს ისეთი შეგრძნებები, რომლებიც მასში აღიქმება როგორც სიხარულის, სიამოვნების, ბედნიერების, წყენის, დარდის, მწუხარების და ა.შ. სუბიექტური შეფასება.

ემოციური რეაქცია ძალიან რთულია. მასში მონაწილეობს ნერვულ-ფსიქიკური სფერო და მთელი ორგანიზმი საერთოდ.

ემოციები ნარმოიშვნენ ადამიანის ევოლუციის პროცესში, როგორც დამცავ-შეგუებითი რეაქცია, როგორც ორგანიზმის გარეგან გამლიზიანებელზე

დაუყოვნებელი პასუხის მექანიზმი.

ემოციები უხსოვარი დროიდან იპყრობდა მეცნიერების ყურადღებას. ჯერ კიდევ XI საუკუნეში პირველი ექსპერიმენტი ჩატარა დიდმა ტაჯიკმა მეცნიერმა და ექიმმა ავიცენამ. მან შეისწავლა ფსიქიური ცხოვრების დამოკიდებულება გარეგან ზემოქმედებასთან და მისი გავლენა ფიზიკურ ცხოვრებაზე. მან ჩატარა უბრალო და ორიგინალური ცდა. ერთი და იგივე მონაცემების ორი ბატკანი მოათავსა ერთნაირ პირობებში, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ერთ-ერთი მათგანის ახლოს დააბა მგელი. ამის შემდეგ ბატკანმა, რომელიც განუწყვეტლად ხედავ-და მგელს, შენყვიტა საკვების მიღება, ნელ-ნელა დაუძლურდა და მოკვდა. მეორე კი გაიზარდა და განვითარდა სრულიად ნორმალური.

როგორც წესი, ადამიანის ნებისმიერი ემოციის აქტიურობას თან ახლავს ორგანიზმის ენერგეტიკული რესურსების გააქტიურება და მობილიზაცია. სისხლში მატულობს ადრენალინის და შაქრის რაოდენობა, ხშირდება გულისცემა, ღრმავდება სუნთქვა. ეს ყველაფერი საჭიროა კუნთური მუშაობისათვის.

ემოციური რეაქციის სუბიექტური ხასიათი დამოკიდებულია ადამიანის ტემპერამენტზე, მისი კულტურის დონეზე, მიღრეკილების, ჩვევების და ნერვულ-ფსიქიკურ სფეროზე. ყოველ ადამიანს უნდა შეეძლო ემოციების მართვა, რადგანაც იგი ექვემდებარება აღზრდას და წვრთნას. განსაკუთრებით დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ადამიანის ემოციების აღზრდას და წვრთნას ადაპტიური ფიზიკური აღზრდის პროცესში. ვიცით რა ტრავმების, დაავადებების და საერთოდ, ინვალიდობის ძლიერი ემოციური ზემოქმედების ეფექტი ადამიანის ფსიქიკაზე, სწორედ ადაპტიური ფიზიკური აღზრდის პროცესში უნდა გადაწყდეს ადამიანის ემოციების აღზრდის და წვრთნის საკითხი. სწორედ ემოციურ მდგომარეობაზე დიდადა დამოკიდებული ორგანიზმის რეაბილიტაციის ხარისხი.

ემოცია ორი სახისაა: დადებითი და უარყოფითი. დადებითი ემოცია ძლიერ გავლენას ახდენს ადამიანის ორგანიზმის ცხოველმყოფადობაზე. დადებითი ემოციები მუხტავენ ნერვულ სისტემას ენერგიით, მობილიზებას უკეთებენ ორგანიზმის ფარულ რეზისურებს, ამაღლებენ გონებრივ და ფიზიკურ შრომისუნარიანობას და ამტანობას. დადებითი ემოციები აღაფრთოვანებენ ადამიანს ნებისმიერი სიძნელის დასაძლევად, აღამაზებენ მის ცხოვრებას. ადამიანი თავს გრძნობს მსუბუქად, არ იღლება და ბედნიერია თუ მისი გონება შეფერილია სასიამოვნო ფერებით.

უარყოფითი ემოციები ეს მრისხანებაა, შიში, სიავე, შური, დარდი, წყენა და ყველა ის დანარჩენი გრძნობაა, ასე ძალიან რომ აფორიაქებს ადამიანს.

როგორ მოქმედებს ეს ემოციები ადამიანზე? პირველ რიგში კარგავს სულიერ წონასწორობას, რომელიც ნათლად გამოიხატება მის გარეგნობაზე. მოძრაობა ხდება მოთენთილი, იცვლება ტანდე-გობა, ფერი ეკარგება სახეს. რაც უფრო მძაფრია

ემოცია, მით უფრო ღრმაა ორგანიზმის რეაქცია. იცვლება გულის შეკუმშვის რიტმი, ღრმავდება სუნთქვა, ხშირად წარმოიქმნება კანკალი, შუბლზე ჩნდება ცივი ოფლის წვეთები. ხანდახან, მძაფრი უარყოფითი ემოცია წამები გრძელდება, მისი შედეგის მკურნალობას კი ხანგრძლივი დრო სჭირდება. ხანდახან მწუხარება და დარდი არყევს ადამიანის მთელ არსებას, რომლის დროსაც წარმოიშობა არა მარტო „ფსიქიკური“ ტკივილი, არამედ ვეგეტატიური რეაქციის ქარისხალი.

სისტემატური (ხშირი) უარყოფითი ემოციური მღელვარება ცუდ ზეგავლენას ახდენს ადამიანის ორგანიზმზე. პირველად იწყება ნერვული სსტემის ფუნქციური დარღვევები, ნევროზი, შემდეგ კი ნევროზით თვითონ ხდება სხვადასხვა დაავადების წყარო, პირველ რიგში, გულსისხლძარღვთა სისტემის დაავადების გამოწვევი მიზეზი.

უარყოფითი ემოციური გაღიზიანება, იმპულსურად იჭრება ტვინის სიღრმეში, ვრცელდება მთელს ორგანიზმში და დაღს ასვამს გულს, სისხლძარღვებს, ღვიძლს, ნაწლავებს და სხვა სასიცოცხლო მნიშვნელობის ორგანოებს. ამასთან, ემოციური გაღიზიანება შინაგან ორგანოებზე მოქმედებს ავტომატურად, ჩვენი ხებასურვილისაგან დამოუკიდებლად.

არ ვიქნებით მართალი, თუკი უარყოფითი ემოციებს განვიხილავთ მარტო უარყოფითი კუთხით. მცირე ხნით მოქმედ უარყოფით ემოციებს ხშირად დადებითი შედეგი მოაქვს. ემოციების გადატანის შემდეგ ადამიანი განეწყობა სიძნელების გადასაალახავად, სასურველი საქმის გაკეთების ჟინით.

ძლიერ ემოციურ გადატვირთვას სტრესს უწოდებენ.

ტერმინი „სტრესი“ პირველად შემოიტანა კანადულმა მეცნიერმა გ. სელიემ (1950-1960). მანვე მოგვცა სტრესის განმარტება და გვაჩვენა გამღიზიანებლის ან დატვირთვის მოქმედების შემდეგი შეგუების პროცესების დამოუკიდებლობა.

ზემოქმედება (სტრესორები) სხვდასხვაგვარია, მაგრამ საკუთარი თავისებურებებისაგან დამოუკიდებლად მათ მივყავართ ერთი ტიპის ცვლილებების ჯაჭვთან, რომელიც უზრუნველყოფს შეგუებას.

ადაპტაციის ამ ჯაჭვის ძირითად რგოლად გ. სელიე თვლიდა ენდოკრინოპუმორალურ სისტემას. საერთოდ, ადაპტიურ სინდრომს, გ. სელიეს აზრით, გააჩნია განსაკუთრებული სტადიები:

1. აღმფორთების სტადია, რომლის დროსაც ქვეითდება ორგანიზმის წინააღმდეგობა (შოკის ფაზა), შემდეგ კი ერთვება დამტავი მექანიზმები.

2. წინააღმდეგობის სტადია (რეზისტრობულობა), როდესაც სისტემების დაძაბული ფუნქციონირებით მიიღწევა ორგანიზმის შეგუება ახალ პირობებთან.

3. გამოფიტვის სტადია, რომელშიც გამოიხატება დამტავი მექანიზმების უუნარობა და იზრდება სასიცოცხლო ფუნქციების შეუთანხმებლობა.

არჩევენ ფსიქიკურ (ემოციურ) და ფიზიოლოგურ (მექანიკურ, თერმულ) სტრესებს.

თუ ფიზიოლოგიური სტრესის დროს ადაპატიური სინდრომი წარმოიშვება გაღიზიანების შეხვედრის მომენტში, ფსიქიკური სტრესის დროს ადაპტაცია წინ უსწრებს სიტუაციას და დროულად ერთვება მის მოქმედებაში (ლ.დ.გისენი, 1990).

სტრესული სიტუაცია წარმოიშობა მაშინ, როდესაც მოტივაციის სიჭარბეა და არ არის პიროვნების მაღალი ადაპტაციური შესაძლებლობები. სტრესული სიტუაციიდან გამომდინარე, ნერვული სისტემის უმაღლეს განაყოფებში ფორმირდება ემოციური რეაქცია, რომელიც თავისი უკიდურესი გამოვ-

ლინებების საფუძველზე (მრისხანება, შიში) ხელს უწყობს შესაბამის უკიდურეს საქციელს (თავდასხმა ან გაქცევა). მაგრამ ასეთი საქციელი შეიძლება შეკავდეს თუ ის შეფასებული იქნება ცნობიერების მიერ, როგორც არამიზანშეწონილი.

მეცნიერები თვლიან, რომ ფიზიკური ვარჯიშები და სპორტული თამაშები ძალზე კარგი საშუალებაა ნერვული გაღიზიანების კონტროლის და სტრესული მდგომარეობის შერბილებისათის.

გამოყენება შემდეგ ნომერში

## პირველი კონკურსი - გამოთვენა-ტოჩიუმი

მიმდინარე წლის 21 მაისს სასტუმრო მეტეხში ჩატარდა შეხვედრა გამოფენა-ფორუმის მონაწილე ორგანიზაციებთან. გამოფენა-ფორუმი მიზნად ისახავს იმ საუკეთესო ორგანიზაციებისა და ცალკეული ავტორების გამოვლენას, რომლებიც მუშაობენ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანების პრობლემებზე.



მისასალმებელია, რომ ჩვენს ქვეყანაში როგორც იქნა იმდღავრა კეთილმა ნებამ და მიზნად დაისახა მისცეს სტიმული საქართველოში მოღვაწე საინვალი დო ორგანიზაციებს მათი, მართლაც, ღირსეული საქმის კიდევ უფრო გაშლა-გაფართოებას.

შედეგმაც არ დააყოვნა და ამ ღონისძიებაში მონაწილეობისათვის განაცხა დი წარადგინა 39-მა ორგანიზაციამ. გამოფენა-ფორუმის ჩატარების საორგანიზაციო კომიტეტის წევრებმა შეკრების მონაწილეებს გააცნეს კონკურსის ჩატარების პირობები. დაწვრილებით განიხილეს ის აქტუალური საკითხები, რომლებიც დამახასიათებელია ასეთი სახის კონკურსისათვის.

კონკურსის ჩატარდება რვა ნომინაციაში:

1. საუკეთესო ფოტოს ავტორი.
2. საუკეთესო სტატიის ავტორი.
3. საუკეთესო ტელესიუჟეტის ავტორი.
4. საუკეტესო დოკუმენტური ფილმის ავტორი.
5. საუკეთესო სახელმწიფო პროგრამა.
6. საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ განხორციელებული საუკეთესო პროგრამა.

7. ადგილობრივი არასამთავრობო ორგანისაციის მიერ განხორციელებული საუკეთესო პროგრამა და  
8. წლის ლობისტი.

ამოფენა ფორუმის ორგანიზატორები არიან კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის და არასამთავრობო საერთაშორისო ორგანიზაცია გადავარჩინოთ ბავშვები. ფინანსურ მხარდაჭერას ანხორციელებენ ჩვენი დედაქალაქის მერია და ამერიკის განვითარების სააგენტო.

გამოფენა-ფორუმი ჩატარდება მ/წ 14 ივნისს სასტუმრო მეტეხში 11 საათზე. დაჯილდოების ცერემონიალი 17 საათზე.



# ათავტიური ფილმები აღმოჩენის პირობებში

თეიმურაზ პოპახილი

ასეთი დავაგებულის და ზოზიძურ განვითარებაში გადახრების შემთხვევაში, პირზომორულობის სამუშაოები უნდა დაიწყოს რაც შეიძლება ადრეულ პრიორები. ამასთან ერთად, ეს პროცესი უნდა გაპრეცენტოს რეჟისურ პირობებშიც, რომელიც განაკაირობებს რამდენიმეაციის უზრუნველყოფასა და დასახული მიზნის განხორციელებებს. ამგვ უნდა არინიანოს, რომ ადაპტური ზოზიძური აღზრდა მოვალეობის პროფილაციების თანამდებობის აპრეცენტის გადაჭვისას.

ამ მიზანების სამიზნო განხორციელებისთვის ართ-ართ მიზანებოდება პირობებს დარღვეული მიზანების არასამიზნო განხორციელების საშეამიტი დამსახური გათოლები დაიწყერა უკის არასამიზნო როგორიც ნათლურ და პირობების ულავ ასახავს საჭირო მასალას. ამასთან ერთად, უდა აჯინიშვნის, რომ საპროექტო და სარჩაპილობაზო დაიწყერა უკის არ არსებობს პრატიკული სახელმძღვანელო მფლეობურ პირობებში მინახობორდების თავისებურებების შესახებ, სადაც განხილული იქნებოდა ზოზიაური ვარჟილების ჩატარების დაგეგმვის და მათი სტრიქი გამოყენების მითოლიკა, როგორიც უზრუნველყოფდა მფლეობურ პირობებში ზოზიაური რეაციული მასალების მიზანობრივობისა და ამასთან ერთად, პროფილურ ტიპების თარგმანი უდებებას.

ଅମ୍ବାରତୀଙ୍କ ପଠାଗ୍ରାନ୍ଥର ଉକ୍ତିରେ ଏହାର ପାଇଁ ବିଶ୍ଵାସ କରିବାକୁ ପାଇଁ ଦେଖିଲୁଛାମୁଁ ।

ოჯახის შეგნებული პასუხისმგებლობა საკუთარი წევრების ჯანმრთელობის რეაბილიტაციის შესახებ, წარმოადგენს ოჯახურ პირობებში ადაპტიური ფიზიკური აღზრდის განხორციელების ერთ-ერთ ძირითად ფაქტორს. ამიტომ, ოჯახურ პირობებში ჩატარებულ სარეაბილიტაციო მუშაობაში იჯახის წევრების მონაცილეობა სხვადასხვა ფორმით, შესრულებას მასტიმულირებულ ფუნქციას, რომელიც ხელს შეუწყობს აღნიშნული ღონისძიების სრულფასოვნაო ჩატარებაში.

საოჯახო ათავსებულების მიზნებია:

1. საკურეაბილიტაციო-საკორექციო მუშაობის უწყვეტობა;
  2. ორგანიზმის საერთო ფიზიკური განვითარება;
  3. ფიზიკურ განვითარებაში ჩამორჩენის და გადახრების (დარღვევების) რეაბი ლიტაცია და კორექცია;
  4. ძირითადი ფიზიკური თვისებების განვითარება;
  5. ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვა და პროპაგანდა;

6. სოციალური ადაპტაციით და ინტეგრაციით.  
ამასთან, ოჯახის წევრებთან ვარჯიში, ხელს უწყობს, არა მარტო ზემოთ ჩამოთვლილ მიზნების განხორციელებას, არამედ, ფიზიკური ვარჯიშების საშუალებით თვით მათ ორგანიზმზეც ხდება მრავალგვარი კეთილსასურველი ზემოქმედება, რომელიც ამზადებს მათ იმ დატვირთვის გადასალახავად, რაც წამოიჭრება შეზღუდული შესაძლებლობების ადამიანებთან თანაკახოვრების პროცესში.

ოჯახისთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვანი ამოცანას

წარმოადგენს—გამოასწოროს ის ნაკლი და დეფექტი, რომელიც აღმოაჩნდა მათ ოჯახის წევრს და ამისათვის გამოიყენოს ყველა ის საშუალება, რომელიც გადააწყვეტინებს მიზნად დასახულ ამოცანას. უპირველეს ყოვლისა, სხვა აუცილებელ ჩვევებთან ერთად ეცადოს ოჯახის წევრებს მცირე ასაკიდან გამოუმუშაოს ფიზიკური ვარჯიშების სისტემატურად ჩატარების, პირადი და საზოგადოებრივი ჰიგიენის ჩვევები და გადაუქციოს ისინი სისტემატურ მოთხოვნილებათ.

ოჯახის დღის რაციონალური განაწესის, ცხოვრების მტკიცე რეჟიმის მიჩვევას, გამაჯან-სალებელი და განმავითარებელი ეფექტის გარდა, აღმზრდელობითი მნიშვნელობაც გააჩინია იმდე-ნად, რამდენადაც ხელს უწყობს ორგანიზებულო-ბის, დისციპლინის, საკუთარ შესაძლებლობებში გარკვევას და საკუთარი რწმენის აღზრდას, რაც დიდ სამსახურს გაუწევს საკორექციო-განმავითა-რებელ და სარეაბილიტაციო მუშაობის წარმატებით განხორციელებაში. ჩვენ—ადამიანებს, მუდმივად უნდა გვახსოვდეს, რომ ფიზიკური აქტიობა ბუნების მიერ დაკანონებული ბრძანების შესრულების მოთხოვნილებაა. მისი შესრულება კი სასიცოცხ-ლოდ აუცილებელია ნებისმიერი ადამიანისათვის, რა თქმა უნდა ასაკის, სქესის და ჯანმრთელობის მდგო-მარეობის გათვალისწინება. ადამიანის სიცოცხლის უნარიანობა და აქედან გამომდინარე სიცოცხლის ხარისხი, დამოკიდებულია მისი ჯანმრთელობის ხარისხზე. ამიტომ, ფიზიკური აღზრდა ზოგადად, გადამწყვეტ როლს ასრულებს მათი ფიზიკური რე-

აბილიატციის და სოციალური ინტეგრაციი ის პროცესში.

ოჯახურ პირობეში ადაპტიური ფიზიკური აღზრდის ფორმებია:

1. დილის ჰიგიენური ტანვარჯიში;
2. გამოწრთობა ბუნებრივი ფაქტორების საშუალებით;
3. საოჯახო პირობებში ფიზიკური ვარჯიშების და სპორტული თამაშების ჩატარება.

დილის ჰიგიენური ტანვარჯიში ოჯახში ტარდება, როგორც ინდივიდუალურად, ასევე ოჯახის წევრების უშუალოდახმარებით. მისი მიზანია, ორგანიზმის გადასვლა ძილიდან სასიცოცხლო მოქმედებაზე, თანდათანობითი გააქტიურება და საერთო სასიცოცხლო ტონუსის ნორმალიზება. ვარჯიშები შეირჩევა მოვარჯიშის ორგანიზმის ფუნქციური მდგომარეობის შესაბამისად.

დიდი მნიშვნელობა აქვს ბუნებრივი ფაქტორებით გამოწრთობას. მისი საშუალებით ხდება ორგანიზმის გაკაუება, სასიცოცხლო პოტენციალის ამაღლება და ამის საშუალებით გარემო პირობებთან შეეუება. ეს ყოველივე მამინ იძლევა შედეგს, როდესაც სისტემატურად მიმდინარეობს გაკაუება და დოზირების თანდათანობით ზრდა. ადაპტანტის ორგანიზმები ბუნებრივი ფაქტორების გამოყენება და დოზირება უნდა წარმოებდეს ექიმის რეკომენდაციის შესაბამისად. მშობლებმა და ოჯახის წევრებმა უნდა იცოდნენ ჰაერით, მზის აბაზანებით და წყლის პროცედურებით გამოწრთობის მეთოდები და გაურკვევლობის შემთხვევაში ამ საკითხებზე კონსულტაციისათვის მიმართონ მკურნალ ექიმს და ადაპტიური ფიზიკური აღზრდის მასწავლებელს.

საოჯახო ყოფაში ფიზიკური ვარჯიშები იმ საკორექციო განმავითარებელი და მოძრაობითი რეჟუმიმის დამატებაა, რომელსაც უზრუნველყოფენ სამკურნალო და სარეაბილიტაციო დაწესებულებები.

საოჯახო ფიზიკური აღზრდის პროცესში უფრო ხშირად გამოიყენება შემდეგი სახის ვარჯიშები და აღმზრდელობითი მუშაობის ფორმები:

1. ოჯახურ პირობებში სპორტული კუთხის მოწყობა;
2. საკორექციო-განმავითარებელი ვარჯიშები;
3. მოძრავი თამაშები და სპორტული ხასიათის ვარჯიშები;
4. რეკრეაციულ-გამაჯანსაღებელი მუშაობა;
5. სპორტულ შეჯიბრებებში მონაწილეობა;
6. სპორტულ ღონისძიებებზე დასწრება.

საკორექციო-განმავითარებელი ვარჯიშების ჩატარება ხორციელდება ადაპტანტის მიერ ინდივიდუალურად, მოწვეული მეთოდის ან თვით ოჯახის წევრების დახმარებით და ორიენტირებულია ფიზიკურ განვითარებაში გადახრების საკორექციოდ და ფუნქციური დარღვევების აღსაღენად. კომპლექსებში შედის ის ვარჯიშები, რომელთა ზემოქმედებით შესაძლებელი გახდება

აღნიშნული დარღვევების და გადახრების კორექცია და რეაბილიტაცია.

მოძრავი თამაშები და სპორტული ვარჯიშები ისე უნდა შეირჩეს, რომ ხელს უზყობდეს მოვარჯიშის ორგანიზმის ფუნქციური დარღვევების აღმოფხვრას ან კორექციას, ჯანმრთელობის განმტკიცებას და ფსიქო-ფიზიკური შესაძლებლობების განვითარებას.

გასეირნებები სუფთა ჰაერზე და ექსკურსიები რეკრეაციულ-გამაჯანსაღებელი და შემეცნებით განმავითარებელი ღონისძიებებია, სადაც დატვირთვის დოზირება ხდება მოვარჯიშის ასაკის, სქესის, დიაგნოზტიკური მონაცემების და ორგანიზმის ფუნქციური მდგომარეობის შესაბამისად. ამასთან ერთად, უნდა ეცადონ ხშირად ატარონ თავიანთი ოჯახის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე წევრები სპორტულ ღონისძიებებზე, გააცნონ ჯანმრთელობის ანალოგიური პრობლემების მქონე ადამიანების ცხოვრების მაგალითები, სადაც მათი წარმატებული ფიზიკური რეაბილიტაციის პროცესში, ერთ-ერთი გადამწყვეტი როლი ითამაშა ფიზიკურმა ვარჯიშებმა და სპორტში მეცადინეობამ, აუმაღლონ საკუთარი თავის, საკუთარი შესაძლებლობების რწმენა, დაარწმუნონ მათ უსაზღვრო შესაძლებლობებში. მოუწყონ ოჯახურ პირობებში სპორტული კუთხე, სადაც ექნებათ ვარჯიშების სისტემატურად შესრულების შესაძლებლობა

ოჯახში მოწყობილი სპორტული კუთხე, გარდა საკორექციო-განმავითარებელი ვარჯიშებისა, საშინაო დავალებების სრულყოფის ადგილიც იქნება. მშობლებმა უნდა გააკონტროლონ დავალებების სწორი შესრულება. ხოლო დავალებების ელემენტები შეიძლება შეტანილი იქნეს დილის ტანვარჯიშის კომპლექსში ან საკორექციო-განმავითარებელ ვარჯიშებში.

გარდა ამისა, ოჯახურ პირობებში შეიძლება სპეციალური ლილიმპიური პროგრამით ან სხვა სპორტულ სექციებში სისტემატურად მოვარჯიშე მოზარდ სპორტსმენთა დამატებითი ინდივიდუალური წვრთნა, რომელსაც ისევ ოჯახის წევრები ან მოწვეული მეთოდისტი გაუწევენ ზედამხედველობას.

თანამედროვე პერიოდის გამოკვლევებმა დაამტკიცა, რომ ფიზიკური წრთვნა, რომელიც ტარდება გაზრებულად, წინასწარ შერჩეული და დოზირებული ვარჯიშებით და შერწყმულია მკურნალობის სხვა საშუალებებთან, დიდ შედეგს იძლევა ამა თუ იმ დაავადებების, ფიზიკური ნაკლის თუ დეფექტის გამოსწორების საქმეში. ამიტომ, ფიზიკური ვარჯიშები,

ადაპტიური ფიზიკური აღზრდა და სპორტი, აუცილებლად უნდა იყოს დანერგილი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოზარდთა ფიზიკური რეაბილიტაციის პროცესში. რეაბილიტაცია კი, როგორც ცნობილია, კარგ შედეგს იძლევა მაშინ, როდესაც მისი პროცესი უწყვეტია.



# ქართული კულტურის განვითარების სამსახური

ლექსო მუშადიანი

აღნაგობა არის საკუთარი სხეულის ტანის დაჭერის დაუძალებული, ჩვეული მანერა, როდესაც ადამიანის ფიგურა გამოიყურება ლამაზად, სიარულში მსუბუქი და მოქნილი.

სამწუხაროდ, მშობლები ხშირად არ აქცევენ ყურადღებას საკუთარი შვილების აღნაგობის ფორმირებას ადრეულ ასაკში და მაშინ, როდესაც მოზარდი ტანს აიყრის, უცრად აღმოაჩენენ, რომ მათი შვილების აღნაგობას და იქედან გამომდინარე მათ სილამაზეს „რაღაც“ აკლია.

ხერხებალი წარმოადგენს 33-34 მალისგან შემდგარ გრძელ ძვლოვან ღეროს. მალები ერთმანეთს უერთდება პატარა ელასტიური დისკოებით, რომელიც ხერხებალს აძლევს მოქნილობას. ხერხებალზე განლაგებული კუნთები ქმნიან ეგრედზოდებულ კუნთურ კორსეტს. ჰარმონიული ფიზიკური განვითარების დროს ადამიანს უმუშავდება სხეულის სწორად დაჭერის უნარი.

აღნაგობა გარკვეული ხარისხით განპირობებულია მემკვიდრეობით, მაგრამ მის ფორმირებაზე განვითარების პროცესში მოქმედებს მრავალრიცხოვანი ფაქტორები. აღნაგობის ფორმირების პროცესი იწყება ყველაზე ადრეულ ასაკში და მიმდინარეობს უმაღლესი ნერვული მოქმედების ფიზიოლოგიური კანონზომიერებების საფუძველზე.

უმრავლეს შემთხვევაში, აღნაგობის დარღვევები შეძნილს წარმოადგენს, ხშირად ეს გადახრები გვხვდება ასტენიური აღნაგობის, ფიზიკურად სუსტად განვითარებულ და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებში. მათი არასწორად განვითარებული ტანდეგობა ხელს უწყობს ხერხებალის მაღლაშეა დისკოების ადრეულ დეგენერციულ ცვლილებებს და ქმნის არაკეთილსასურველ პირობებს ორგანიზმის მკერდის და მუცლის ღრუს ორგანოების ფუნქციონირებისთვის.

სწორად ფორმირებულ (განვითარებულ) ხერხებალს გააჩნიათ ფიზიოლოგიური ღუნი (მოხრა) სიგიტალურ სიბრტყეში (გვერდიდან დათვალიერების დროს) კისრის და კისრის ლორდოზის სახით (გაღუნვა წინიდან) და კიფოზი (გაღუნვა უკნიდან) მკერდის და გავის ნაწილში. ეს გაღუნვები და ასევე მაღლაშეა დისკოები განაპირობებენ ხერხებალის ამორტიზირების თავისებურებებს. ხერხებალის გაღუნვები მჭიდროდაა დაკავშირებული ერთმანეთთან და ერთ-ერთის გადიდება იწვევს მეორის ცვლილებებს. ფრონტალური სიბრტყეში (ზურგიდან დათვალიერების დროს) ხერხებალი უნდა იყოს სწორი, რომელიც მეტყველებს მის ნორმალურ განვითარებაზე. ამასთან, ხერხებალის უმნიშვნელო ცვლილებებიც კი განხილული უნდა იყოს, როგორც ნორმიდან გადახრა.

თუ გვინდა გავარკვიოთ, აქვს თუ არა ბავშვს ხერხებალის დარღვევები, აუცილებელია მისი გასინჯვა (დათვალიერება) და გაშიშვლება ტრუსებამდე. დათვალიერება ხდება მოზარდის ჩვეულ პოზაში დგომში. ორივე ფეხზე თანაბარი დატვირთვის გადატანით (მუხლები გამართულია, ქუსლები ერთად, ტერფები განზე). ვათვალიერებთ თანამიმდევრულად: წინიდან, გვერდიდან, ზურგიდან და წინზნექის მდგომარეობაში. წინზნექის მდგომარეობაში ყოფნის დროს, ნიკაპი ებჯინება მკერდს. ხელის მტევნები შეერთებულია მუცლის წინ.

საერთოდ მიღებულია ის აზრი, რომ ადამიანის ფიზიკური და ზნებრივი თვისებების ჰარმონიული განვითარების მაჩვენებელს წარმოადგენს ადამიანის სხეულის აღნაგობა (ტანდეგობა). აღნაგობა არ არის მარტივი სხეულის სწორი აგებულება. ესაა მოძრაობის ჰარმონიულობა, პლასტიკურობა, ამ მოძრაობების გამომხატველობით შესრულება და მოქნილობის შენარჩუნების შესაძლებლობა. ესაა, ადამიანის ჰარმონიულად განვითარებული სხეულის გრაციოზულობა, რომელიც თავისითავად არ მოდის და მისი ფორმირებისთვის საჭიროა (უმრავლეს შემთხვევაში თავდაზოგავით) შრომა. კარგი აღნაგობა, წარმატებული ადაპტიური ფიზიკური აღზრდის მაჩვენებელია. წელში გამართვა და მხრების გადაშლა სხეულისა და სულიერი ძალების მოკრებას ნიშნავს. ანატომიურად სწორად განაწილებული სხეულის ნაწილები უზრუნველყოფს კეთილსასურველი ფიზიოლოგიური პროცესების მიმდინარეობას.

მორფოლოგიურად ნორმალური აღნაგობისთვის დამახასიათებელია:

1. თავის სწორად დაჭერა;
2. სიმეტრიული მხრები;
3. თანაბარი სიგრძის ხელები;
4. ბოქვენის და მენჯბარძაყის ძვლების სიმეტრიული განლაგება;
5. თანაბარი სიგრძის ფეხები;
6. ტერფის თალის სწორი განვითარება;
7. ხერხებალის სვეტის ტალღისებური თანაბარზომიერი განვითარება.

ფიზიკურ განვითარებაში გადახრების მქონე პირთა ტანის აღნაგობის დარღვევების დაწყებითი და შემდგომი გართულების ხშირი შემთხვევები, გვაიძულებს ორგანიზმის ფიზიკურ განვითარებას განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ.

ცნობილია, რომ რაც უფრო ადრე იქნება გამოვლენილი განვითარების ნორმიდან გადახრები, მით უფრო ადვილია მისი გამოსწორება.

ცხადია, რომ ოჯახურ პირობებში ადაპტიური ფიზიკური აღზრდის საქმის რაციონალურად დაყენება საგრძნობლად ამცირებს ასეთი შემთხვევების

რიცხვს. ფიზიკურ განვითარებაში ჩამორჩენის მქონე პირებში მეტწილად გვხვდება ხერხემლის გამრუდების და გულმკერდის არასწორი აგებულების შემთხვევები. სისტემატური, ხანგრძლივ ჩვეულ, არასასურველ პოზაში ჯდომა, ფიზიკური განუვითარებლობა და ორგანიზმის საერთო მოდუნება, ძლიერ უწყობს ხელს გულმკერდის დეფორმაციას და ხერხემლის ყოვლგვარ გამრუდებას. მომხრელი კუნთები შედარებით უფრო აქტიურად მოქმედებენ, ვიდრე მათი ანტაგონისტი, გამშლელი კუნთები, რომელებიც, მეტწილად, პასიურად გაჭიმულ მდგომარეობაში იმყოფებიან და ამიტომ განვითარებაში ერთგვარ ჩამორჩენილობას განიცდიან.

ამიტომ, ეს გარემოება უდევს საფუძვლად ოჯახურ პირობებში ადაპტიური ფიზიკური აღზრდის გაკვეთილებში სათანადო სპეციალური მაკორეგირებული ფიზიკური ვარჯიშების შეტანის აუცილებლობას, რომელთა მიზანს ტანისა და განსაკუთრებით ზურგის კუნთების გამაგრება და საერთოდ, მარჯვენა და მარცხენა ხელის ორმხრივი თანაბარი გავარჯიშება შეადგენს.

ტანის აგებულების ასეთი ნაკლი, თუ იგი ადრეულ ასაკში გამოვლენილი არ იქნა, დროთა განმავლობაში თანდათან ვითარდება და შემდგომში ძნელად გამოსასწორებელი ხდება. ეს კი გვაიძულებს ოჯახურ პირობებში ადაპტიური ფიზიკური აღზრდის გაკვეთილში მაკორეგირებული (გამასწორებული) ვარჯიშები შევიტანოთ არა მარტო არსებული ნაკლის კორექციისათვის, არამედ, ამასთან ერთად და უმთავრესად, პროფილაქტიკური მიზნითაც, როგორც კუნთოვანი სისტემის სუსტი განვითარებისა და მისი ტონუსის დაქვეითების გამო, ტანის არასწორი აღნაგობის საწინაღმდეგო წინასწარი ლონის ძიება.

არსებობს ტანის ნორმიდან გადახრების კორეგირების ორი სახე: აქტიური და პასიური.

აქტიური კორეგირება ნიშავს, ორგანიზმის ზოგად გაჯანსაღებას და განვითარებისკენ მიმართულ ღია მომარჯიშის შემთხვევაში, სპეციალური გამოსასწორებული ადაპტიური ფიზიკური ვარჯიშების შევიტანოთ არა მარტო არსებული ნაკლის კორექციისათვის, არამედ, ამასთან ერთად და უმთავრესად, პროფილაქტიკური მიზნითაც, როგორც კუნთოვანი სისტემის სუსტი განვითარებისა და მისი ტონუსის დაქვეითების გამო, ტანის არასწორი აღნაგობის საწინაღმდეგო წინასწარი ლონის ძიება.

თულ ლონისძიებასთან ერთად (ტანვარჯიში, სპორტული და მოძრავი თამაშობები, სპორტის სახეობების შერჩეული ელემენტები, გამონრთობის საშუალებები, დღის რეჟიმის დაცვა და ა.შ.) სპეციალური მაკორეგირებული ფიზიკურვარჯიშებისგამოყენებას. ე.ი. აქტიური კორეგირება, სპეციალური, მაკორეგირებული ფიზიკური ვარჯიშების გამოყენებასთან ერთად, გულისხმობს მთელი დღის განმავლობაში რეჟიმის

მოწესრიგებას, მაკორეგირებელი ჩვევების დანერგვის და ყოველგვარი მავნე ჩვევის და ტანის არასწორად დაჭერის ნინააღმდეგ სისტემატურ ბრძოლას. აქედან გამომდინარე, მშობლებმა და მეთოდისატმა თვალყური უნდა ადევნონ ამ მიმართულებით მოსწავლის მიერ ექიმის ყველა მითითების ზუსტად გატარებას.

პასიური კორეგირება ნიშავს ტანის აღნაგობაში უკვე არსებული და მასთან ხანდაზმულ ნაკლს (II და III ხარისხის ხერხემლის გამრუდება, გულმკერდის დეფორმაცია და ა.შ.) კორეგირებისთვის მთელი რიგი სპეციალური მაკორეგირებელი ხასიათის ზემოქმედებათა გამოყენებას. ყველა ეს ზემოქმედება, სათანადო სამკურნალო დაწესებულებებში ავადმყოფის აქტიური მონაწილეობით ტარდება.

გარდა ამისა, განარჩევენ ზოგად და სპეციალურ კორეგირებას. ზოგადი კორეგირება გულისხმობს ორგანიზმის ზოგადი გაჯანსაღების და გამაგრების მიზნით გამოყენებულ ფიზიკურ ვარჯიშებისა და სპორტულ თამაშებს, თამაშების ელემენტებს, სხეულის გამოწრთობას, დღის რეჟიმს და სხვა, რომელებიც სასარგებლო ზემოქმედებას ახდენენ ადაპტანტის, როგორც ფსიქოფიზიკური თვისებების განმტკიცებაზე, ასევე საყრდენმამოძრავებელი აპარატის განვითარებაზე.

სპეციალური კორეგირება კი გულისხმობს სპეციალური, უპირატესად, აქტიური გამასწორებული სახის ფიზიკურ ვარჯიშებით გამოყენებას საყრდენსამოძრაო სისტემის უკვე არსებული, ამა თუ იმ ანატომიური და ფუნქციური ნაკლოვანების გამოსწორების მიზნით.

გამასწორებული სახის ვარჯიშების ჩატარების მიზანს ნარმოადგენს ტანის, განსაკუთრებით კი გამშლელი ჯგუფის კუნთების განვითარება და გამაგრება, რაც, თავის მხრივ, წინააღმდეგობას უწევს ხერხემლის სვეტის შესაძლო გამრუდების განვითარებას და უზრუნველყოფს ტანის სწორი აღნაგობის შენარჩუნებას.

კორეგირების საუკეთესო შედეგების მისაღწევად წამყვანი როლი უნდა დაეკისროს:

1. ტანვარჯიშული ვარჯიშების;
2. წონასწორობის განმავითარებელი ვარჯიშების;
3. სწორი სუნთქვის სწავლების და სუნთქვითი ვარჯიშების გამოყენებას;
4. მუცლის კუნთების გამაგრებას;
5. პოზიცია ტანის სწორად დაჭერის ჩვევის გამომუშავებას. ამას უნდა დაემატოს, როგორც კორეგირების ლონისძიება, თამაშების, სპორტული ელემენტების, სიარულის, სირბილის, ტყორცნების, ცოცვების, ასვლების, ხოხვების, ხტომების, წახტომების და ა.შ. გამოყენება. ადაპტანტის დღის რეჟიმში შეტანილი უნდა იქნეს სუჟათა პარტიზე გასეირნება, წყლის პროცედურების გამოყენება, ექსკურსიები, ქალაქებარეთ ინდივიდუალური გასვლები, სპორტული ლონისძიებებზე დასწრება, კვება, რაციონალური რეჟიმი და ა.შ.



# ქ. ბურთი და ქ. მოედანი

თეიმურაზ მიძიაშვილი



მიმდინარე წლის 30 აპრილს და 1 მაისს არჩილ არველაძის საფეხბურთო სკოლის ბაზაზე ჩატარდა ევროპის ფეხბურთის ფედერაციისა და ევროპის სპეციალური ოლიმპიური კომიტეტის მიერ დაწყებული და უკვე ტრადიციად ქცეული ფეხბურთის კვირეული, სადაც მონაწილეობდნენ ჩვენი ქვეყნის

**საქართველოს  
საფინანსო მინისტრის  
გახდი მეგობარი™**

ევროპული ფეხბურთის კვირეული  
EUROPEAN FOOTBALL WEEK  
25.04-3.05 2009

**Special Olympics Georgia**  
Be a fan™

UEFA  
we care

სხვადასხვა რაიონებიდან და ქალაქებიდან ჩამოსული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოზარდ ფეხბურთელთა 12 გუნდი, სულ 75 ფეხბურთელი. ფეხბურთის კვირეული ერთდროულად ჩატარდა ევროპის ყველა ქვეყნაში და მონაწილეობა მიიღო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებმა.

აღნიშნული ღონისძიების ორგანიზატორები იყვნენ საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია და საქართველოს სპეციალური ოლიმპიური კომიტეტი.



ცოდარ ახალგაზი ხელს აღმოს მემორანუმს

ყველაზე მთავარი, ისტორიული და ლირსშესანიშნავი მოვლენა მოხდა ფეხბურთის თამაშების დაწყების ნინა დღეს, 29 აპრილს. მაშინ, როდესაც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა, ნოდარ ახალგაცმა და საქართველოს სპეციალური ოლიმპიური კომიტეტის ეროვნულმა დირექტორმა, უანა გოცირელმა ხელი მოაწერეს მემორანდუმს ურთიერთ თანამშრომლობისა და დახმარების შესახებ.

ლირსშესანიშნავი და ისტორიული იმიტომ უწოდეთ, რომ საქართველოში ჯერ არ ყოფილა ისეთი პრეცენდენტი, რომ გამოეთქვა სურვილი რომელიმე სპორტულ ფედერაციას ან სპორტულ ორგანიზაციას გაეწია პროპაგანდა და განევითარებინა თავისი სპორტის სახეობა შეზღუდული შესაძლებლობის ადამიანებს შორის. ეს სავალო ფაქტი იმაზე მიგვანიშნებს, რომ საქართველოში ჯერ კიდევ არ დაწყებულა ის ძერები, რაც თანამედროვე ცივილიზაციას ახასიათებს. ჯერ კიდევ ვერ გაათვითცნობიერა ჩვენმა საზოგადოებამ, რომ ინვალიდები მათი სისხლი და ხორცია და ისე უნდა სტკიოდეთ მათი ტკივილი, როგორც საკუთარი სხეულის ტკივილი. ასეთი დამოკიდებულების ნათელი მაგალითია შესა-

№ 4 აპრილი, 2009

ნიშნავი ქართველის, საქველმოქმედო ფონდის “იავნანას”--პრეზიდენტის, პაატა ბურჭულაძის ზრუნვა სოციალურად დაუცველი ადამიანების მიმართ. და ამიტომაა ისტორიული მოვლენა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ძალის მენეჯერი, რომმან გადადგა პირველი ნაბიჯი ინვალიდთა შორის ფეხბურთის განვითარების შესახებ. როგორც იქნა აღმოჩნდა კეთილი ნების სპორტული ფედერაცია, რომელმაც შესანიშნავი მაგალითი აჩვენა სხვა სპორტულ ორგანიზაციებს.



თესუ-ს სტუდენტები - გალანტიორები

ამ წამოწყებას ღირსეულად აუბა მხარი არჩილ არველაძის საფეხბურთო სკოლამ და მთელმა პედაგოგურმა კოლექტივმა. მათ ფართოდ გაუღეს



გატჩის შინ

კარი სტუმრებსა და დაუთმეს არა მარტო ფეხბურთის მოედნები, არამედ საკლასო ოთახებიც კი ფეხბურთის თემაზე ლექცია-მოხსენებების ჩასატარებლად. ხოლო, ამ სკოლის დირექტორმა, ცნობილმა ფეხბურთელმა, არჩილ არველაძემ, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ფეხბურთელთა “ფანად” გამოაცხადა თავი.

განსაკუთრებულად უნდა აღვნიშნოთ ფეხბურთის ფედერაციის მიერ გამოგზავნილი მსაჯების ბატონების - ბორის გლუშჩიკვის და ბაკურ ნინუას კარგი მუშაობა, რომლებმაც არაფერი დაიშურეს ამ ღონისძიების მაღალ დონეზე ჩატარებისათვის. განსაკუთრებულად გამოირჩეოდნენ ვალანტიორები, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერ-





შესვებრა დაიჭყო

სიტეტის ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის მე-3 და მე-4 კურსის სტუდენტთა 20 კაციანი ბრიგადა, რომლებიც პერსონალურად მიმაგრებული იყვნენ და ეხმარებოდნენ გუნდებს.

თამაშებს სპონსორობა გაუწია „მაკდონალდმა“ და მთანმინდის კულტურისა და დასვენების პარკმა.

თამაშების საპატიო სტუმრები იყვნენ ევროპის სპეციალური ოლიმპიადის ოფისის დირექტორი ქშიშტოვ კრუკოვსკი და სტუმარი ისრაელიდან თაღია ალკა ორნჰაუზერია

გთავაზობთ ინტერვიუს თამაშების ორგანიზატორებთან და სტუმრებთან.

— ბატონო არჩილ, დღეს მართლაც გამორჩეული დღე იყო. იმიტომ, რომ საქართველოს ფეხბუ-

რთის ფეხბურთისა და სპეციალურმა ოლიმპიურმა კომიტეტმა ხელი მოაწერეს რეფერენდუმს ურთიერთთანამშრომლობის და დახმარების შესახებ. ეს არის უაღრესად მნიშვნელოვანი მოვლენა. რას გვეტყვით ამის შესახებ?

— ძალიან მოხარული ვარ, რომ საქართველოს ფეხბურთის ფეხბურთის გადაწყვიტა მხარში აძოუდგეს სპეციალურ ილიმპიურ მოძრაობას.



მაგლონალის საჩუმრები



მთავაზობის პარტნერის და შესვენების პარტნერი



№ 4 აგვისტი, 2009



## თურნირის მსაჯები

პირადად ჩემთვის ეს მოვლენა ორმაგად სასიხარულოა. იმიტომ, რომ ჩემი ძმა, რეზი არველაძეც იქ მუშაობს და მასაც მიუძღვის გარკვეული წვლილი ამ საქმეში. რაც შემეხება მე, ყველაფერს გავაკეთებ სპეციალური ოლიმპიური პროგრამით ფეხბურთის განვითარებისათვის. გარდა ამისა, მათ გვერდში დავუდგები არა მარტო ფეხბურთის განვითარების თვალსაზრისით, არამედ მინდარომ ჰქონდეთ კარგი, ღირსეული ბავშვობა. ჰქონდეთ სიხარულით სავსე დღეები, რომელიც ყველა ბავშვს უნდა ჰქონდეს. მე ამას დიდი სიამოვნებით გავაკეთებ, რადგანაც ამ მისიას ჩემს მოქალაქეობრივ მოვალეობად მივიჩ ნევ.

თქვენ ხართ ერთ-ერთი ცნობილი სპორტსმენი, რომელმაც “ფანია” და გვერდში დგომა გამოუცხადა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდებს...

— არ მგონია ამ მოვალეობას თავი აარიდოს რომელიმე სპორტსმენმა. მით უმეტეს ქართველმა სპორტსმენმა. მე, უბრალოდ, ბედმა გამილიმა. მოვიდნენ, ამისხნეს, გამარკვიეს და ამის შემდეგ უარს ვინ იტყოდა. სულ სხვა გრძნობა დამუჟფლა. დიდი სიამოვნებით დავთანხმდი ამ წინადადებას. უბრალოდ, ინფორმაციის მიწოდებაა საჭირო და მე



არ მეგულება ადამიანი დედამიწის ზურგზე, ამ საქმეზე უარი თქვას. მით უმეტეს ქართველმა სპორტცმენმა.

**უნა გოცირელი. საქართველოს სპეციალური ოლიმპიური კომიტეტის ეროვნული დირექტორი.**

— მინდა საზოგადოებისათვის ცნობილი იყოს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მართლაც ინოვაციური გადაწყვეტილება. ამით, ამ ფედერაციამ საზოგადოებას შესთავაზა მიბაძონ მის მაგალითს და განვითარონ თავიანთი მიმართულებები სპეციალურ ოლიმპიურ მოძრაობაში. მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ისიც, რომ სპეციალური ოლიმპიური მოძრაობის კეთილი ნების ელჩი გახდა ბატონი არჩილ არველაძე. მას დიდ მაღლობას მოვახსენებ აგრეთვე იმიტომ, რომ ზუსტად ისე მიიღო სწორი გადაწყვეტილება, როგორც ამას გააკეთებდა მართლაც ღირსული ადამიანი და დიდი სპორტსმენი.



## აპთომაზი ხელი

**ქმიბტოფ კრუკოვსკი. ევროპის სპეციალორი ოლიმპიადის ოფისის დირექტორი.**

— ყველაფერი კარგი იყო. მე ვხედავდი, რა ბედნიერები იყვნენ ფეხბურთელები როგორი სიხარული ეტყობოდათ მათ სახეებს. ეს გამოწვეული იყო არა მარტო იმით, რომ თამაშობდნენ საუკეთესო მინდორზე, რომ მათ გვერდზე იყო გამოჩენილი ქართველი ფეხბურთელი არჩილ არველაძე და მთელი საფეხბურთო ფედერაცია, არამედ მათ გვერდზე იყო თბილისის სახელწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტები და “მაკონალდიც”, რომელმაც შესანიშნავი საჩუქარი გაუმზადა საკუთარი პროდუქ ციის სახით. უდიდეს მაღლობას მოვახსენებ ყველას, ვინც ამ ღონისძიებას ხელი გაუმართა.

თამაშები კარგად იყო ორგანიზებული. დღის მეორე ნახევარში ფეხბურთის კვირეულის მონაწილეებმა დაათვალიერეს დედაქალაქის ღირსეულისანიშნაობანი. ენვიენ მთანმინდის კულტურისა და დასვენების პარკს, სადაც სამახსოვრო დღე გაატარეს.



## პარლიმპიური სპორტული თამაშების ქრონიკა

კანადა კაროლინაიდისათვის  
ევზადება



საერთაშორისო პარლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ფილიპ კრავენი, კანადის სპორტის მინისტრი პარი ლუნი და სხვა ოფიციალური პირები მ.წ 12 მარტს, თამაშების დაწყებამდე ზუსტად ერთი წლით ადრე, შეიკრიბნენ ოტავაში, კანადის პარლამენტის შენობის წინ, რათა აღმართათ 2010 წლის ოტავის ზამთრის საერთაშორისო პარლიმპიური თამაშების დროშა.

დროშა აღმართა ლამაზ, ტრადიციული წითელი ფორმიანმა ცხენოსანი პოლიციეს ორმა მხედარმა და ზამთრის სუსტიანმა ქარმა საერთაშორისო ოლიმპიური დროშის გვერდით ლამაზად ააფრიალა.

ბ-ნმა პარი ლუნმა აღნიშნა, რომ ვინც იცის პარლიმპიური თამაშების ისტორია, კარგად უწყის, თუ რატომ გახდა აღნიშნული თამაშები ასეთი პოპულარული და მსოფლიოს სპორტულ მოძრაობაში, როგორც განსაკუთრებული მოვლენა.

საერთაშორისო პარლიმპიური კომითეტის პრე-

ზიდენტმა ბ-ნმა ფილიპ კრავენმა გამოთქვა იმის რწმენა, რომ 2010 წელს პარლიმპიადაზე ნაჩვენები იქნება ისეთი შედეგები, რომელსაც ბადალი არ ექნება მისი არსებობის მთელი ისტორიის მანძილზე— “თორმეტი თვის შემდეგ, ჩრდილოეთის ყველაზე ძლიერი სახელმწიფომში მოხდება ისეთი ამაღლვებელი მოვლენები, რომლის მსგავსიც არასოდეს უხილავს კანადას”-თქვა ფილიპის კრავენმა.

ეს იქნება პირველი ზამთრის პარლიმპიური თამაშები, რომელიც ჩატარდება კანადაში. 1988 წელს, როდესაც კალგარიში (კანადა) ჩატარდა ზამთრის საერთაშორისო ოლომპიური თამაშები, პარლიმპიური თამაშები ტარდებოდა ავსტრიის საკურორტო ქალაქ ინსბრუკში.

უნდა აღინიშნოს, რომ თამაშებში, რომელიც ჩატარდება 2010 წლის 10-21 მარტს სპორტის ხუთ სახეობაში, მონაწილეობას მიიღებს მსოფლიოს 40 ქვეყნის 1350 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სპორტისმენი.

### პარლიმპიური სპორტის სახეობები



#### მძლეოსნობა

პარლიმპიური თამაშების პროგრამაში შეტანილია მძლეოსნური შეჯიბრების ფართო სპექტრი. სპორტის ეს სახეობა პარლიმპიურ პროგრამაში შესულია 1960 წლიდან. შეჯიბრებაში მონაწილეობენ-ჯანმრთელობის სხვადასხვა ფორმის დაზიანების მქონე სპორტსმენები საინვალიდო ეტლით, პროტეზებით და უსინათლოები (მათ შორის კოორდინატორების (მიმმართველების) დახმარებით). სპორტსმენები ეჯიბრებიან სპორტულ-სამედიცინო კლასიფიკაციის შესაბამისად.

#### მშვიდოსნობა

მშვიდოსნობაში პირველი ორგანიზებული შეჯიბრი ჩატარდა 1948 წელს ინგლისის ქალაქ სტოკ-მანდევილში. დღეისათვის აღნიშნულ სპორტის სახეობაში ტარდება რეგულარული შეჯიბრებები, სადაც აგრეთვე მონაწილეობენ საინვალიდო ეტლით მოსარგებლე სპორტსმენები. შემოღებულია ქალთა და მამაკაცთა სპორტული კატეგორიები. მაღალი შედეგები, რომლებსაც აღნიშნულ შეჯიბრებში აღწევენ სპორტსმენები, მიუთითებს მშვიდოსნობაში შეჯიბრების მაღალ პოტენციაზე. შეჯიბრებები ტარდება გუნდური, წყვილთა და ერთეულთა შორის, სადაც მსაჯობის წესები და ქულების დათვლა ოლიმპიურ თამაშებში გამოყენებული წესების იდენტურია.





## პაროლიმპიური დღე რიპოლში

ესპანეთის პროვინციის კატალონიის ქალაქ რიბოლის სკოლებში მიმდინარე წლის 21 აპრილს ჩატარდა პაროლიმპიური დღე. მთელი დღის მანძილზე მოსწავლეები მონაწილეობდნენ პაროლიმპიური სპორტის ისეთი სახეობების შეჯი ბრებებში, როგორიცაა ფეხბურთი, გოლბოლი, კალათბუთი (ეტლებით) და კერლინგი (ეტლებით). ამავე დროს, მოსწავლეებს შესაძლებლობა ჰქონდათ საინვალიდო ეტლებით მოესინჯათ თავიანთი ძალები და გადაელახათ სხვადასხვა წინააღმდეგობებით სავეს დისტანცია.

გარდა ამისა, ბავშვებმა მოისმინეს ლექცია-მოხსენებები პაროლიმპიური მოძრაობის შესახებ. მოწვეული იყვნენ სპორტსმენი-პაროლიმპიელები, რომლებმაც პასუხი გასცეს მრავალრიცხოვან შეკითხვებს. აღნიშნულ ლონისძიებას ესწრებო და ესპანეთის პაროლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი, ქალბატონი სილვანა მესტრე, რომელმაც აღნიშნა, რომ პაროლიმპიადისადმი მიძღვნილ დღეს ბავშ-

ვებმა მოისმინეს მრავალი საინტერესო ინფორმაცია პაროლიმპიურტი მოძრაობის შესახებ.

პაროლიმპიური დღის ჩატარების ორგანიზატორები იყვნენ ესპანეთის რეგიონალური საბჭოს ინვალიდთა საქმეთა განყოფილება, ქ.რიპოლის მუნიციპალიტეტის სპორტის განყოფილება და კატალონიის ინვალიდთა ორგანიზაცია.

პაროლიმპიური დღე სკოლებში—წარმოადგენს საგანმანათლებლო-შემეცნებით პროგრამას, რომლის ინიციატორია საერთაშორისო პაროლიმპიური კომიტეტი. მისი მიზანია ბავშვებს დაეხმაროს, რაც შეიძლება მეტი გაიგონ და ისწავლონ ინვალიდთა ცხოვრების შესახებ. ეს ღონისძიებათა კომპლექსია, რომლის დროსაც სპორტული თამაშების ფორმით წარმოდგენა ექმნებათ ბავშვებს პაროლიმპიურ სპორტზე და საერთოდ, ინვალიდობის პრობლემებზე. ასეთი დღეები შეიძლება ჩატარდეს ნებისმიერ დღეს, ნებისმიერ სკოლაში. მისი პროგრამა გათვალისწინებულია 6-დან 16 წლამდე ბავშვებისათვის.



## პარალიმპიური სპორტის სახეობები



### ცურვა

ცურვა, როგორც სპორტი ინვალიდებისათვის აღმოცენდა ინვალიდებისათვის ფიზიოთერაპიის და რეაბილიტაციის ტრადიციებიდან. მოუხედავად ამისა პაროლიმპიურ თამაშებში ინვალიდთა შორის შეჯიბრებები ცურვაში წარმოადგენს ყველაზე საინტერესო და პოპულარულ მოვლენას. ცურვა მისაწვდომია ყველა ფუნქციური შეზღუდულობის მქონე ადამიანებისათვის.

### ჩოგბურთი (საინვალიდო ეჭლებით)

ჩოგბურთი პაროლიმპიური პროგრამით პირველად ჩატარდა 1992 წელს. აღნიშნული სპორტის სახეობა დაარსდა ამერიკის შეერთებულ შტატებში გასული საუკუნის 70-იან წლებში და დღევანდელ დღემდე აგრძელებს სრულყოფას. თამაშის წესები თითქმის ტრადიციული ჩოგბურთის წესების იდენტურია და ბუნებრივია სპორტსმენებისაგან მოითხოვს ანალოგიურ უნარ-ჩვევებს. ერთადერთი განსხვავება ისაა, რომ მოთამაშებს გააჩინათ ორი აუტის უფლება. ამასთან, რომ მიიღოს თამაშის უფლება პირველი აუტი უნდა იყოს კორტის საზღვრებში. პაროლიმპიურ პროგრამით ტარდება ერთეულთა და წყვილთა შეჯიბრებები.



## 1 ივნისი ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე

დააწესა 1949 წლის ნოემბერში ქალთა საერთაშორისო დემოკრატიულმა ფედერაციამ. აღინიშნება ყოველ-წლიურად 1 ივნისს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. მისი მიზანია მსოფლიოს საზოგადოებრივი აზრის მობილიზაცია მების საშიშროებისა და დემოკრატიული აღზრდა-განვითარებისათვის.



# თამაჯორს მავნეალობის შესახებ

ლექსო მუშაუდიანი

ჩვენ გვსურს განსაკუთრებული ყურადღება გავამახვილოთ იმ მავნე ჩვევებზე, რომელიც არა მარტო ხელს უშლის დარღვეული და განუვითარებელი ორგანოებისა და სისტემების განვითარებასა და კორექციას, არამედ აუარესებს ადამიანის ჯანმრთელობას და ორგანიზმის სიცოცხლისუნარიანობას. ერთ-ერთ მათგანს წარმოდგენას თამბაქოს მოწევა, რომელიც დაუშვებელია არა მარტო ფიზიკური რეაბილიტაციისა და ფიზიკურ განვითარებაში გადახრების კორექციის დროს, არამედ ჯანსაღი წესით ცხოვ რების ფორმირების პროცესშიც.


ჩვენი პლანეტის მოსახლეობის უმარვლესობამ მრავალი საუკუნის მანძილზე არ იცოდა თამბაქოს შესახებ და ბუნებრივია არ ენეოდა მას. თამბაქომ მხოლოდ ამერიკის აღმოჩენის შემდეგ, 1492 წლიდან შემოაღწია ევროპაში.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ თამბაქოს პოპულარობას ხელს უწყობდა მითი მისი, როგორც საოცარი სამკურნალო საშუალების შესახებ.

საფრანგეთის ელჩი ლისაბონში უან ნიკო დალზე მონდომებით უწევდა რეკომენდაციას თამბაქოს, როგორც ერთ-ერთ ყველაზე ეფექტურ სამკურნალო საშუალებას. თამბაქო იმდენად პოპულარული გახდა, რომ თანდათანობით დაიპყრო მსოფლიო. რუსეთში თამბაქო გამოჩნდა მე-16 საუკუნის ბოლოს და მმართველი საზოგადოება შეხვდა სერიოზული პროტესტით: ალექსი მიხეილისძის (მე-17 საუკუნის შუა პერიოდი) მეფობის დროს თამბაქოს მოწვევისათვის ამათრახებდნენ, გლეჯდნენ ფრჩხილებს და ასახლებდნენ ციმბირში. პეტრე დიდის დროს თამბაქოს შემოტანა არ იყრდალებოდა. ამავე დროს, თვით პეტრე I იძლეოდა თამბაქოს წევის მაგალითს.

თამბაქო საქართველოში მე-17 საუკუნის ბოლოს და მე-18 საუკუნის დასაწყისში შემოიტანეს. ეს იყო დაბალიხარისხის წევენ. მაღალხარისხის ხოვანითამბაქო მხოლოდ მე-19 საუკუნის I ნახევარში გავრცელდა საქართველოში. თამბაქოს წევას მეცნიერები ყოფითი ნარკომანიას უწოდებენ და ხაზს უსვამეს ადამიანის ირგანიზმზე მის განსაკუთრებულ უარყოფით (უმრავლეს შემთხვევაში დამანგრეველი) ზემოქმედებას.

თამბაქოს კვამლის შესუნთქვისას ზიანდება კბილის მინანქარი, რაც იწვევს კარიესის გაჩენას, ხშირად ჩნდება სტომატიტი და გინგივიტი. ვეგ-



ტატიურ ნერვულ სისტემაზე ნიკოტინის ქრონიკული მოქმედების შედეგად ვითარდება ვეგეტატიური დარღვევები — ძლიერდება კუჭის სეკრეცია. მკვეთრად მატულობს კუჭის ზევნის მუვიანობა, კუჭის შეკრულობა ან მოშლილობა, ძლიერდება ნერწყვის გამოყოფა (რაც ხელს უწყობს კბილის ქვის გაჩენას). ნიკოტინის მოქმედების შედეგად ვიწროვდება სისხლძარღვები. მათ კედლებში წარმოქმნილი ტროფიკული ცვლილებები კი ხელს უწყობს ათეროსკელეროზისა და სისხლძარღვთა სისტემური დაავადების განვითარებას. თამაბეჭოს მწეველთა თავისებური დაავადებაა ე.ნ. გარდამავალი სიკოჭლე, რაც კანჭის და ტერფის მაბილიტირებულ ენდარტერიტთანაა დაკავშირებული. ბრონქებისა და ბრონქიოლების ლორნოვანი გარსის სისტემატური გაღიზიანება იწვევს მათ ქრონიკულ დაავადებას, რაც ზოგჯერ ბრონქული ასტმის ჩამოყალიბებით მთავრდება.

დადგენილია, რომ ფილტვის კიბოთი დაავადების საშიშროება თამბაქოს მწეველთა შორის 20-ჯერ მეტია, ვიდრე არამწეველებში. დადგენილია აგრეთვე, რომ თამბაქოს წევა ხელს უწყობს არა მარტო ფილტვის, არამედ ტუჩის, პირის ღრუს და ტრაქეის კიბოს გაჩენისაც. ტუბერკულიოზით დაავადებულთა რიცხვი მწეველთა შორის თითქმის ორჯერ მეტია. მოზრდილთა მორის ტუბერკულიოზით დაავადებულების 95% მწეველები არიან. თამბაქოს წევა მავნებელია არა მარტო მწეველისათვის, არამედ იმათვის, ვინც მწეველებთან ერთად შენობაში იძყოფებიან და თამბაქოს კვამლით მონამლული ჰაერით სუნთქვას, განსაკუთრებით მავნეა თამბაქოს მოწვევა ფეხმძიმობის პერიოდში, რადგან ნიკოტინი შეაღწევს რა დედის სისხლში, ნაყოფსაც წამლავს. ნიკოტინით მწვავე მონამვლა (გულისრევა, თავბრუსხვევა, პირლებინება, ხშირი მაჯისცმა, კრუნჩევები, სისხლის წნევის აწევა და ა.შ.) ჩვეულებრივ თამბაქოს წევის დაწყებისას აღინიშნება.

თამბაქოს წევა მავნედ ზემოქმედებს მთელ სუნთქვის სისტემაზე. ძნელდება სუნთქვა, ნარმოიმნება ხველება. ხდება ქრონიკული ბრონქიტის და ფილტვების ემფიზემის გამომწვევი მიზეზი. აქვეითებს მხედველობას, მნიშვნელოვნად აქვეითებს, როგორც მამაკაცების, ასევე ქალების სქესობრივ ფუნქციას. ფრანგმა ექიმებმა დაადგინეს, რომ იმპოტენციის ათიდან რვა შემთხვევა წარმოშობილია სისხლძარღვების შევიწროე-

ბის შედეგად, რომელიც გამოწვეულია თამბაქოს მოწევით. მეცნიერთა მონაცემებით გამოკვლეულ მწეველთა 50% გააჩნიათ იმპოტენციის სხვადასხვა ფორმა.

ბოლო წლებში ექიმები ალაპარაკდნენ იმაზე, თუ როგორ დაავადნენ და გარდაიცვალნენ არამწეველი ადამიანები მონაწევი კვამლის ხანგრძლივი ზემოქმედების შედეგად.

თამბაქოს მოწევა ძალიან მავნებელია ახალგაზრდა ორგანიზმისათვის, მაგრამ (უფრო მეტად) განსაკუთრებულად აზიანებს გოგონების ორგანიზმს. ამას მეტყველებს გარეგანი ნიშნებიც. გოგონათა უმრავლესობას, ზომიერად მწევლებსაც კი, საკმარისად სწრაფად „უჯდება ხმა“. იღებს მწეველისთვის დამახასიათებელი ჩახლეჩილ ხმას. იცვლება სახის ფერი, რომელიც აისახება მწეველისათვის დამახასიათებელ ნაცრისფერში. სახის კანზე ჩნდება წვრილი ნაცრები, ყოველივე ეს სისხლის მიმოქცევის და სახის კანის კვების გაუარესების ნიშანია.

მეცნიერთა კვლევის შედეგად დადგენილია, რომ სიგარეტის მოწევის შემდეგ კაპილარები 30-40 წუთის მანძილზე ვიწროვდებიან და მათში სისხლის დინება ნელდება. როგორც გაირკვა, მამაკაცებს

სისხლით მომარაგება უმცირდებათ 20%-ით, ხოლო ქალებს 40%. საქმე იმაშია, რომ ქალების ნერვული და სისხლის მიმოქცევის სისტემა განსაკუთრებით მერძნობიარება შხამების, მათ შორის ნიკოტინის მიმართ.

ქალის ყველაზე მნიშვნელოვანი ფუნქცია — დედობაა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შხამიანი ნივთიერებები რომლებსაც შეიცავს თამბაქო, ძალზე მავნებულად ზემოქმედებენ ნაყოფის, შემდეგ კი ახალშობილის განვითარებაზე. კატეგორიულად არ შეიძლება ფეხმძიმე ქალების მწეველებთან ერთოთაში ყოფნაც კი.

ზოგიერთი გოგონა ძალიან ცდება რომ თითქოს სიგარეტი აძლევს მას განსაკუთრებულ მიმზიდველობას, რომელიც ნააგავს ჰოლივუდის მომზიდველ მსახიობ ქალს. საქმე კი იღებს სრულად განსხვავებულ სახეს. მამაკაცთა უმრავლესობას სურს იმეგობროს არამწეველ გოგონასთან. ძალიან ცუდი შეგრძნებაა, როდესაც ქალისაგან, ან გოგონასგან სასიამოვნო სურნელების ნაცვლად თამბაქოს სუნი ასდის. მიაჩნიათ მამაკაცთა აპსოლუტურ უმრავლესობას. სიგარეტი გოგონებს აძლევს ვულგარულ, არაქალურ (ქალისთვის შეუფერებელ) გარეგნობას.

## წმიდა იოანე (თორნიკე მთაწმინდელი) სენაბის დღე 12(25)ივნისი



წმიდა იოანე (ერისკაცობაში თორნიკე ერისთავი) მონაზვნად აღკვეცამდე ქართლის სპასალარი იყო. სახელოვანი და ბრძოლებში წარმატებული, უეპრო რაინდი გამორჩეულად უყვარდა მეფე დავით კურაპალატს. თორნიკეს მებრძოლი სული უფრო ამაღლებელს ითხოვდა, მას მხოლოდ ზეციური მეუფის მსახურობა უნდოდა და გადაწყვიტა საბერძნეთში წასულიყო, სადაც მისი წინამორბედი სპასალარი, იოანე მოღვაწეობდა ათონის მთაზე. თორნიკემ მთაწმინდას მიაშურა, სადაც იოანეს სახელით მონაზვნად აკურთხეს წმიდა ათანასეს ლავრაში.

თორნიკეს კურთხევის შემდეგ იმდენმა ქართველმა მოიყარა თავი წმიდა ათანასეს ლავრაში, რომ იოანემ, წმიდა ათანასეს კურთხევით, ქართველებისათვის ცალკე ააშენა ეკლესია იოანე მახარებლის სახელზე. ეკლესიასთან ერთად ქართველებმა სენაკებიც ააგეს და „მუნ იმყოფებოდეს მრავალუამ ვითარცა ანგელოზნი ღმრთისანი“.

ამ დროს საბერძნეთის მცირენლოვან მეფეებს, ბასილსა და კონსტანტინეს, აუმხედრდა სარდალი ბარდა სკლიაროსი. დედოფალმა თეოფანიამ დახმარებისა თვის იოანე-თორნიკეს მიმართა, მაგრამ მან შორს დაჭირა თხოვნა: „მიქმნიეს ერთგზის და ალარა უკან ვიქცე“. წმიდა ათანასე და იოანემ სთხოვეს იოანე-თორნიკეს, ხლებოდა დავით კურაპალატს და დახმარებოდა ბერძენთა მეფეს. ხანგრძლივი მუდარის შემდეგ იოანე-თორნიკემ შეისმინა მამათა ვედრება. ბასილი და კონსტანტინე მადლიერების ნიშნად ფეხებში ჩაუვარდნენ წმიდა მამას, დედოფალმა კი უთხრა: „რათცა ამით ობოლთა თანა ჰქონა, ღმერთმან მოაგოს სულსა შენსა“.


იოანე-თორნიკე საქართველოში წამოვიდა. მეფემ დიდად გაიხარა ყოფილი სპასალარის ნახვით, შეიწყნარა დედოფლის თხოვნა და დამხმარე ჯარის სარდლად თვით იოანე-თორნიკე დანიშნა. ღვთის შემწევნითა და თორნიკეს სარდლობით ქართველთა თორმეტიათასიანმა ლაშქარმა სასტიკი დამარცხება აგემა ღვთისა და მეფის წინაღმდეგომ სკლიაროსს და საბერძნეთიდან განდევნა.

გამარჯვების შემდეგ თორნიკემ შვებით მიაშურა ათონის მთას, სადაც ის საოცარი მორჩილებით, სიმდაბლით, სიწრფოებით და უმანკოებით გამოიჩინდა. მან მდუმარებითა და მშვიდობით შეჰვედრა სული უფალს.

სახელოვანმა მგოსანმა, აკაკი წერეთელმა, მის ვაჟკაცობას, თავდადებასა და ერთგულებას მიუძღვნა პოემა „თორნიკე ერისთავი“.

## საოცრებათა ქვეყნა შეზღუდული შესაძლებლობების მეორე მოზარდებისთვის

ნინო კიციავილიძე



ფონდის "ლია საზოგადოება - საქართველო" დაფინანსებით მშობელთა და პროფესიონალთა კავშირმა "ნადი" მიმდინარე წლის 1,2,4 და 5 მაისს ათონელის თეატრში წარმოადგინა სპექტაკლი "ალისა საოცრებათა ქვეყანაში" შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოზარდთა მონაწილეობით. ..

სპექტაკლი წარმოადგინდა ფონდის "ლია საზოგადოება - საქართველო" დაფინანსებული პროექტის "გზა თანასწორუფლებიანი მოქალაქეობისაკენ" ნაწილს და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოზარდთა და ახალგაზრდა მსახიობთა თანამონაწილეობის შედეგი. ლონისძიებამ წარმოაჩინა ინვალიდობის მქონე პირთა შესაძლებლობები და მათი საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩართულობა.

ფონდის ინიციატივით მიმდინარე წლის 5 მაისს აღნიშნულ სპექტაკლს დაესწრო სოციალური თერაპიის სახლის 15 წარმომადგენელი. რომლებიც ძალიან კმაყოფილები დარჩენენ მათთვის ორგანიზებული ღონისძიებით.

ასევე აღნიშნულ დღეს ფონდის აღმასრულებელმა დირექტორმა, ქალბატონმა ქეთი ხუციშვილმა და ადამიანური რესურსების მენეჯერმა, თინათინ თუშიშვილმა სპექტაკლის მონაწილე თითოეულ მო-

ზარდს მოუმზადეს და გადასცეს სამახსოვრო საჩუქრები. შეზღუდული შესაძლებლობების მოზარდები ძალიან აქტიურები იყვნენ სცენაზე, სტუმრებსაც უშუალოდ და თბილად შეხვდნენ, გახარებულები და გაოცებულები დარჩენენ საჩუქრების მრავალფეროვნებით.


პროექტის "გზა თანასწორუფლებიანი მოქალაქეობისაკენ" მიზანი იყო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოზარდთა სოციალური ინტეგრაცია მათი ხელოვნების (დრამატული, კრეატიული აქტივობები) აქციებში თანამონაწილეობის გზით. პროექტი ითვალისწინებდა არა მხოლოდ სპექტაკლების მოწყობას, არამედ ბავშვების აქტიურ მონაწილეობას რეპეტიციების პროცესში, ხელოვნების სხვა აქციებში და შედეგად მათ რეაბილიტაციას.

პროექტის ფარგლებში შემდეგი ღონისძიებები განხორციელდა:

- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოზარდთა და პროფესიონალ მსახიობთა/სამსახიობო ფაკულტეტის სტუდენტთა მონაწილეობა ერთობლივ სპექტაკლებში. სპექტაკლები დაიდგა ადაპტირებული მეთოდით, ჩართული იყო ფსიქოლოგი და სოციალური მუშავი, რომლებიც პირველ ეტაპზე მსახიობებთან და რეჟისორებთან მუშაობდნენ.

- მოზარდთა მონაწილეობა სპექტაკლების დეკორაციების მომზადების პროცესში.

- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოზარდთა და პროფესიონალ მსახიობთა/სამსახიობო ფაკულტეტის სტუდენტთა თანამშრომლობის ფოტოგამოფენის მოწყობა.



## ბავშვობას მიგარებული ნათელი ფერები

მარინა სვანიძე

თქვესმეტი წლის ჭაბუკს ისეთივე ახალგაზრდული გატაცებები ჰქონდა, როგორც ნებისმიერ მის თანატოლს; ისევე ცელქობდა, როგორც დანარჩენი თექვსმეტიწლისანები; ისევე უყვარდა, როგორც ამ ადრეულ ასაკში უყვართ და . . . ისევე ხედავდა მზეს, როგორც ნებისმიერი დედამიწელი, თანაც ამ მზისქვეშეთში უამრავი, უამრავი გეგმა ჰქონდა მომავლისა, თუმცა . . ."კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდა" უთქვამთ და ერთმა უბედურმა შემთხვევამ 16 წლის დავით სილაგაძის ბედი რადიკალურად შეცვალა, რადგან იგი ველარ ხედავდა მზეს.

წყალტუბოს რაიონის სოფელ ყუმისთავში დაიბადა, ამ შემთხვევამდეც იქვე ცხოვრობდა, აღალ ბიძაშვილს თოფი გაუვარდა და საფანტმა ორივე თვალის ჩინი წაართვა. აი, როგორ ჰყვება იმ წუთებს: "ამ შემთხვევამ ჩემს გონებაში ელვის სისწრაფით ჩაიარა. მივხვდი, რომ თვალში რაღაც აფეთქდა თითქოს, მაგრამ სრულ სიბრძმავეს ნამდვილად არ ველოდი. სხვებს, იმათ, ვინც ჩემს გამო წუხდა, იქეთ ვაიმედებდიდა ველოდი, რომ მდგომარეობა ყოველწუთიერად დაუბრუნდებოდა ძეველ რიტმს. წყალტუბოში ექიმები უკეთესობის გარანტიას მპირდებოდნენ, თუმც შემდეგ მივხვდი, რომ ეს იყო იმედი ექიმისა, რომელსაც ვერ გაეწირა მწარე რეალობისათვის 16 წლის ბიჭი. შემდეგ მოვიარე ოდესა, ლენინგრადი, კიევი, მოსკოვი. . . ყველგან ერთიდაიგივე. . . მივხვდი, განგებამ საბოლოო განაჩენი გამომიტანა და ხელის ჩაქნევა უნებისყოფობად ჩავთვალე. . . მერე რა!-შევძახე ჩემს თავს-ეს არის ტრავმა და არამც და არამც ტრავედია! აქ არ მთავრდება ადამიანის ყოფიერება, მეტი მომეთხოვება-მეთქი და სრულიად ახალი ცხოვრება დავინწყე-მზისა და თვალის ჩინის გარეშე. სოფელში დაბრუნებულმა მთელი ორი წელინადი ინვალიდობის პენსია არ დავინიშნებრინციპის გამო, რომ მკითხოთ ამით ვის ვებრძოდი - პასუხი არ მაქვს."

ვუსმენ ბატონ დავითს და ადამიანური კეთილი შერით მშურს მისი სიძლიერის. — ქუთაისის უსინათლოთა საზოგადოებაში 3 წელი მუშაობდა ჩანთების საამქროში, შემდეგ ავტოქარხანაში, 150 მანეთს აძლევდნენ და ოჯახური კერის გახარების შანსიც გაუჩნდა — ზაირა ალავიძეც სწორედ იქ გაიცნო, მასავით უსინათლო, თუმცა ქალბატონ ზაირას ცოტათ შენარჩუნებული აქვს მხედველობა. 1976 წელს დაქორწინდნენ კიდეც, რადგან ბატონი დავითის აზრით იქ, სადაც დიდი გრძნობაა, თვალის ჩინი სულ არა საჭირო. შემდეგ გოგონა გაჩნდა-სრულიად ჯანმრთელი, შემდეგ ვაჟიც, რომელმაც უფრო გაასალისა მისი სიცოცხლე. გოგონსგან ბატონ დავითს ყველაზე დიდი საჩუქარი არგუნა ბედმა - პატარა კუდრაჭა შვილიშვილი ნინი, რომელიც პირველ კლასშია.

ქუთაისში, ავანგარდის უბნის ერთ-ერთი კორპუსის წინ ბატონი დავითის პატარა ჯიხური დგას.



დაგით სილაგაძე რვაბერთან ერთად

ამ ჯიხურს "ათასი წრვილმანი" თავისუფლად შეგიძლიათ უწოდოთ, რადგან რას არ ნახავთ იქ. გასაოცარი ისაა, რომ უსინათლო მასპინძელი კლიენტის მოთხოვნისთანავე ერთი ხელის მოსმით ხვდება სად დევს ესა თუ ის ნივთი. იგი არც მეზობლებს წყვეტს გულს და ნებისმიერი მათგანის ელექტროგაეგანილობასა თუ სანტექნიკას ელვის სისწრაფით ოსტატურად შეაკეთებს ხოლმე. ბუნებრივია, გაკვირვება ვერ დავმალე და ვკითხე: ამას როგორ ახერხებთ — მეთქი, აი, რა მიპასუხა — "დავინწყოთ იქიდან, რომ ყველაფერი ღვთისებანაა. გარდა ამისა მაქვს ხელები და მეშვიდე გრძნობა, რის ახსნა და გადმოცემა უბრაქლოდ არ შემიძლია. იცით? ხშირად ვხედავ, რომ რაღაც დგას, მაგრამ სამწუხაროდ მხოლოდ შავ ფერს, ნათელი ფერები ბავშვობას ჩავპარე. . . გარდა ამისა, არაფრით არ შემიძლია დავდგე სადმე მინისქვეშა გადასასვლელში და განუწყვეტლივ ვიძახო — დამეხმარეთ! დამეხმარეთ! — ეს ადვილია, ძნელია ჩემი გზა, მაგრამ ასე მირჩევნია ყოველდღიურობა დავძლიო, ცხოვრებას შევეჭიდო, ოჯახს გვერდით დავუდგე-ო".

ბატონი დავითის ოჯახი ერთი თვალის გადავლებითაც ჩანს რომ წესრიგშია და ყველა თავის საქმითაა დაკავებული. ქალიშვილი უცხო ენების სპეციალისტია და მუშაობს, ვაჟიშვილმა ეკონომიკური ინსტიტუტი დაამთავრა და ქუთაისში ფეხსაცმელების საამქროს მენეჯერია. ზაირა ბებია და ცქრიალა ნინიკო კი სწავლა-აღზრდით არიან დაკავებული. ის საოცარი ურთიერთბატივისცემა, რაც სილაგაძების ოჯახში სუფევს, იშვიათობაა. ის კი არა, პატარა ნინი წითელ მანიკურსაც არ ისმევს თურმე, ბაბუას არ უყვარს, მართალია ვერ დაინახავს, მაგრამ იგრძნობას!

გრძნობს ნინი, ბაბუა ნამდვილად ყველაფერს გრძნობს, ის თვალებით ვერ გიყურებთ, მაგრამ ძალიან კარგები ნარმოუდენიხართ შენც, დედაც, ბებოც, მშობლიური ქუთაისიც და . . . ბავშვობას მიბარებული ნათელი ფერებიც.

# ფინანსურული მარკეტინგის სამაურნალო-საკონკაფციო ზემოქმედებების მარკეტი

თეიმურაზ კობახიძე

დაავადება - ორგანიზმის ცხოველმოქმედების დარღვევაა, რომელიც გამოიხატება სხვადასხვა ირგანოების და სისტემების ფენსაციის დაქვეითებით. ორგანიზმი მობილიზაციას უკეთებს დამცავალებს, იგი ცდილობს წინააღმდეგობა გაუწიოს დაავადების პროცესებს და აღიდგინოს დარღვეული ფუნქციების და ორგანოების (კონკრეტული მოქმედება).

ნებისმიერი დაავადების და ფიზიკურ განვითა-  
რებაში გადახრების დროს კლებულობს ადამიანის  
მოძრაობითი აქტიობა, რომელიც ინვევს თავის ტვი-  
ნის ქერქის აქტიურობის დაქვეითებას და შეძენილი  
პირობითი რეფლექსების ქრობას ან მთლიანად  
დაკარგვას. ფიზიკური ვარჯიშების ზემოქმედებ-  
ით თავის ტვინის ქერქში კუნთებიდან, მყესები-  
დან, სახსრებიდან, შეხების, სმენის, მხედველობის,  
წონასწორობის ორგანოებიდან და ა.შ. მოედინება  
მოძრაობითი აქტიობის უზრუნ ველყოფის სიგ-  
ნალების (იმპულსების) დიდი რაოდენობა. ფიზი-  
კური წრთვნის პროცესში მიმდინარეობის პათოლო-  
გიური რეფლექსების შევიწროება, დაკარგუ ლი, ან  
სიცოცხლისთვის ახლად წარმოქმნილი აუცილებე-  
ლი რეფლექსების აღდ გენა.

ფიზიკური ვარჯიშები აცილებს ძირითადი და  
თანმდევი დაავადებების გართულებას, რომლებიც  
განპირობებულია ხანგრძლივი ფიზიკური უმოქმე-  
დობით (გულსისხმარღვთა და სუნთქვის სისტე-  
მების დასუსტება, კუნთების მოცულობის და ძალის  
დაქვეითება, სახსრების მოძრაობის შეზღუდვა,  
ნივთიერებათა ცვლის დარღვევა და ა.შ.), ამა თუ იმ  
ორგანოს ფუნქციის მუდმივი დაკარგვის ან ზოგი-  
ერთი ქირურგიული ჩარევის შემთხვევაში, ფიზი-  
კური ვარჯიშები ხელს უწყობს ახალი, კომპენსა-  
ტორული მოძრაობების გამომუშავებას. ფიზიკური  
ვარჯიშები აძლიერებს ნივთიერებათა ცვლას და  
კუნთური ქსოვილების კვების პროცესებს, ხელს  
უწყობს დაზიანებული ქსოვილების და ორგანოების  
მიერ ჩვეული ფუნქციების შესრულებას. კუნთური  
მოძრაობები ზემოქმედებს ცენტრა ლურ ნერვულ  
სისტემაზე და ამაღლებს ადამიანის დადებით გან-  
წყობილებას. უსახავს მაღე გამოჯანმრთელების  
იმედს, მუხტავს დადებითი ემოციებით და აღაგ-  
ზნების მეტი აქტიურობის სურვილით.

მომეცადინეთა ფიზიკური განვითარების შესაბამისად სწორად შერჩეული საერთო განმავითარებელი ვარჯიშები დადგებითად ზემოქმედებენ მთელი ორგანიზმის საერთო განვითარებაზე და გამაგრებაზე. ამასთან ერთად, ეს ვარჯიშები უზრუნველყოფენ მომეცადინეთა ძირითადი ფიზიკური თვისებების (ძალის, გამძლეობის, სისწრაფის, მოქნილობის, სიმარტის) განვითარებას, მოძრაობა-

თა საერთო კოორდინაციის სრულყოფას, ორგანიზ-  
მის ცხოველმყოფელობის და სწორი ტანდეგობის  
ფორმირებას.

ამ პროცესში გამოიყენება განსაკუთრებულად შერჩეული სრული და არასრული ვარჯიშები, რომლებიც ნასესხებია მხატვრული და სპორტული ტან-ვარჯიშიდან, მძლეოსნობიდან და ძალოსნობიდან, მოძრავი და სპორტული თამაშებიდან. აგრეთვე ჩართულია მრავალი სხვადასხვა გამოიყენებითა დავალებები, რომლებიც გვხვდება პრაქტიკული ცხოვრების პირობებში და ეხმარება მოძრაობითი შესაძლებლობების გაფართოებას და სრულყოფას.

საერთო განმავითარებელ ვრჯიშთა კომპლექ-  
სის ჩატარება (ზოგადი წრთვნა) ზრდის ცენტრალ-  
ური ნერვული სისტემის აგზებადობას, აძლიერებს  
სუნთქვის სისტემის მოქმედებას — იცვლება სუნ-  
თქვის სიხშირე და სიღრმე, რაც ფილტვების ვენ-  
ტილაციისა და ჰაერის ცვლის გადიდებას იწვევს,  
აძლიერებს სისხლის მიმოქცევის სისტემის მოქმედე-  
ბას, პულსი ხშირდება, იზრდება გულის სისტოლუ-  
რი და წუთმოცულობა, სისხლის წნევა მატულობს,  
იზრდება მიმოქცევაში მყოფი სისხლის რაოდენობა  
მისი დეპონებიდან გადმოსვლის გამო, კუნთებში და  
ფილტ ვებში მატულობს აქტიური კაპილარების რა-  
ოდენობა, იზრდება ნივთიერებათა კვლა, და ა.შ.

ვარჯიშის შესრულება, მომუშავე კუნთებში სისხლის მიმოქცევის გაძლიერება და და შესაბამისად ნივთიერებათა ცვლის პროცესების გაზრდა წარმოადგენს ორგანიზმის კუნთური ქსოვილის ზრდა-განვითარების გადამწყვეტ ფაქტორს. კუნთური ქსოვილის ზრდა-განვითარება იწვევს კუნთების მოცულობის გადიდებას და შესაბამისად მათი ძალის ზრდას. აქედან გამომდინარე, კუნთური ძალის ზრდა-განვითარება შეიძლება ჩაითვალოს სხვა დანარჩენი ფიზიკური თვისებების განვითარების საფუძვლად. საერთო განმავითარებელი ვარჯიშების კომპლექსების ჩატარება სამკურნალო და სარეაბილიტაციო ამოცანების გადაწყვეტასთან ერთად, უზრუნველყოფს მომეცადინეთა მუშაობაში ჩაბმას და მათ მომზადებას მოძრაობითი ჩვევების შესრულება-ათვისებისათვის.

Յոմեցագոնեցնեծուն գոհուկայր գանցուտարեծուն դա մոճրաօնքուտո հիշեցնեծուն առցուսեծուն ամոցանեծուն գա- դասաթշպատագ Գրանցարջունին մեցագոնեռածունտցուն գամոյսցնեծա սեցագասեցա եսասուտուն դա ցորմուն մյունց սայրուուն դա զերժուն նեմոյմեցուն զար ջունին ձալա- թյ, ձափոմյուլոնձաթյ դա մոճյնեցնեծաթյ. յս զարջունին Շյոօծլյեծա Շյըսրոյլունց, Ռոցօռուն սացնեծուն ցամո- յունեծուտ, ասեց Սացնոնց(Գրանցարջունին ջունիուտ, Գրենուն ծոյրույլունցուտ, ործոռուտցունիուտ, ցոյրթյունիուտ

და ა.შ.) და სპორტულ იარარებზე (ტანგარჯიშულ სკამზე, კედელზე, დვირზე, ტაიჭზე და ა.შ.). გარდა ამისა, გამოყენება მუშაოთური ვარჯიშები, თამაშები, მძლეოსნური ვარჯიშები და ა.შ.

საერთო განმავითარებელი ვარჯიშების კერძო ამოცანებს განეკუთვნება:

1. კუნთური ძალის და სხვა ფიზიკური თვისებების განვითარება;

2. სახსრების მოძრაობითობის განვითარება;

3. კუნთების მოდუნების და შეკუმშვის სისწრაფის განვითარება;


4. ცალკეული კუნთთა ჯგუფების მოდუნების, შეკუმშვის უნარის განვითარება;

5. გულსისხლძარღვთა, სუნთქვის და სხვა სისტემების განვითარება;

6. ნივთიერებათა ცვლის გაუმჯობესება და შინაგანი ორგანოების მუშაობის ამა ღ ლება;

7. სწორი აღნაგობის ფორმირება (ხერხემლის სვეტის კორუქცია, ბრტყელტერფ იანობის ლიკვიდაცია და პროფილაქტიკა, კუნთების გამაგრება და ა.შ.);

8. მოძრაობით კორდინაციის საფუძვლების დაუფლება, რომლებიც დაკავშირებუ ლი იქნება უპირატესად ელემენტარული სიმარლის, მარტივი მოძრაობით შეთანხ მებულობის და რიტმულობის აღზრდასთან.



## წმიდა მოწამე თევდორე მღვდელი (ხსენების დღე 8 (21) ივნისი)

წმიდა მოწამე თევდორე მღვდელი მოღვაწეობდა XVI საუკუნის ბოლოს და XVII საუკუნის დასაწყისში. ამ დროს მძიმე დღეში იყო საქართველო. ოსმალეთი და ირანი ერთმანეთს ეცილებოდნენ დაპყრობილ ტერიტორიებს. 1609 წლის დასაწყისში ოსმალებმა იძალეს სპარსეთზე, წაართვა ბალდადი, შემდგომ მიიტაცა სამცხე-საათაბაგო და იმავე წლის ივნისში ახალციხიდან შემოესია საქართველოს.

ამ დროს საქართველოში მეფობდა ახალგაზრდა მეფე წმიდა ლუარსაბ 11 (ხს..21 ივნისი). ის მცირე ამალით ცხირეთის ციხეში, თავის საზაფხულო რეზიდენციაში იმყოფებოდა.. ოსმალებმა, რომლებმაც მეფის სამყოფელი იცოდნენ, გადაწყვიტეს, უმოკლესი გზით შეჭრილიყვნენ შიდა ქართლში, ცხირეთის ციხეს თავს დასხმოდნენ, შეეპყროთ ლუარსაბი და ამ გზით მთელი საქართველო დაემორჩილებინათ.

ოსმალებმა სწრაფად გადმოლახეს თრიალეთი, ქართლში შემოსასვლელი გზების მცველი ქართველები ამოხოცეს და მოულოდნელად მიადგნენ მანგლის. მანგლისის ღვთისმშობლის ეკლესია სასანაულებრივად გადაურჩა დარბევას. მემატიანე წერს: "ეს ვითარმა ღრუბელმა ზრქელმა და ნისლმა დაფარა იგი, ვიდრედა პირისპირ მისა ჩავლეს ესოდენმა სიმრავლემან მეომართამან და ეკლესის იგი სოფლითურთ ვერ იხილეს". წმიდა ლუარსაბმა არაფერი იცოდა თავდასხმის შესახებ, მტერს კი ცხირეთამდე სულ ხუთიოდე საათის სავალი რჩებოდა. მანგლისიდან მეფის საზაფხულო რეზიდენციამდე რამდენიმე გზა მიდიოდა. ოსმალებს ვერ გადაეწყვიტათ, რომელ გზას დასდგომოდნენ.


მანგლისის ახლოს, სოფელ კველთაში, თათრებმა შეიპყრეს მღვდელი, "სახელად თევდორე, პატიოსანი და მოშიშარი ღვთისა და ერთგული მეფისა თვისისა". მღვდელი ეკლესიას კეტავდა, სხვებთან ერთად ტყეში გაქცევა ვერ მოასწორ, რადგან ეკლესის განძეულობა გადამალა მტრის ხელყოფისაგან. თევდორეს ოსმალებმა მეგზურობის განევა მოსთხოვეს, წინააღმდეგ შემთხვევაში მას წამებით სიკვდილი ელოდა. "ხოლო მან, ნეტარმან ხუცესმან, აღირჩია სიკვდილი, ვიდრე განცემა მეფისა და განირვა საქართველოსა" მღვდელმა ლაშქარი გზას ააცდინა და ცხირეთს დააშორა. უგზოზე დიდი ხნით სიარულის მერე, როცა "გზასა ძნელთა და ინროთა და კლდოვანთა და სხვათა მათსა ცხენი მრავალი და კაცი მთაცივნეს კლდეთა და კაპანთა და მისწყდეს", ოსმალები მიხვდნენ, რომ მოტყუფდნენ. "იხილეს რა თავნი თვისინ ესრე მოცდომილნი და შეინრებულნი, კაცთა მათ სახელვანთა შეიპყრეს ხუცესი იგი და თავი წარკვეთეს". წმიდა თევდორეს თავდადებამ წაყოფი გამოიღო. მეფე ლუარსაბმა ციხეში გამაგრება მოასწორ, შემდეგ კი ქართველთა ლაშქარმა მოთარეშე მტერს მუსრი გაავლო.

ზეპირ სიტყვეობაში არის ასეთის ლექსი:

თავდადებულო თევდორე,  
ჩიტი დაგძახის ტიასა,  
სადაც შენ დაიმარხები,  
ნეტავ იმ ეკლესიასა.

## თითების საერთაშორისო ანბანი

ყრუთა ურთიერთობების საუკეთესო საშუალებაა თითების საერთაშორისო ანბანი, რომლის წყალობითაც ისინი თავისუფლად ესაუბრება ერთმანეთს. ყრუთა ურთიერთობისათვის დღეისათვის მსოფლიოში არსებობს 40 ანბანი და სისტემა თითების საშუალებით. არის ისეთი სისტემა, სადაც გამოიყენება ორი ხელი. უმრავლეს „თითების ანბანი“ უფრო მოხერხებულად ითვლება ერთი ხელით „თითების ანბანი“, ვინაიდან მეორე ხელი თავისუფალია და შეიძლება სხვა მოქმედების შესრულება.



1975 წელს ყრუთა მსოფლიო ფედერაციამ შეიმუშავა ყრუთათვის საერთაშორისო ლექსიკონი „ჯესტუნი“, რომელიც „ესპერანტოს“ თანაბარი მნიშვნელობისაა. „ჯესტუნი“ შეიცავს 1500 შედარებით ადვილად გასაგებ ნიშანს, რომელიც აღებულია სხვადასხვა სისტემებიდან. აღნიშნული ანბანი გამოიყენება ყრუთა საერთაშორისო შეჯიბრებებზე, კონგრესებზე და ა.შ.

„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს პარლამენტის უწყებები, 1994-1995წ, 7-30, მუხ. 633) 24-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 24. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა, სოციალური დახმარების სახეობანი.

1. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს სოციალურად ეხმარებიან როგორც ფინანსებით /პენსია, დახმარება და სხვა/, ისე ტექნიკური და სხვა საშუალებებით, მათ შორის, უზრუნველყოფების ავტომობილებით, სავარძელ-ეტლებით, საპროთეზო-ორთოპედიული ნაკეთობებით, სპეციალური შრიფტის ნაბეჭდი გამოცემებით, ხმის გამაძლიერებელი აპარატურით და სიგნალიზაციით, აგრეთვე სამედიცინო, სოციალური და პროფესიული რეაბილიტაციის განხორციელებითა და საყოფაცხოვრებო მომსახურებით.

2. ყველა მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირსა და მხედველობის გამო მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს შრომითი საქმიანობის პერიოდში უნარჩუნდებათ შესაძლებლობის შეზღუდვის შესაბამისი სტატუსით მინიჭებული პენსია.

3. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პენსიებითა და დახმარებებით უზრუნველყოფის წესი განისაზღვრება საპენსიონ და სოციალური დაზღვევის კანონმდებლობით.

4. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სამკურნალონამდო, ტექნიკური და სხვა საშუალებებით უზრუნველყოფა, აგრეთვე საყოფაცხოვრებო მომსახურება ხორციელდება უფასოდ ან შეღავათიანი პირობებით საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.“

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს

პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი

თბილისი,

2004 წლის 29 დეკემბერი.

## უსინათლოთა და სუსტადმხედველთა

### აღააზიური

### ფიზიკური აღზრდა და სპორტი

თანამედროვე მეცნიერული შეხედულებების საფუძველზე აგებულ უსინათლოთა ადაპტიური ფიზიკური აღზრდასა და სპორტის განვითარებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება მათი ფიზიკური რეაპილიტაციის და სოციალური ინტეგრაციის პროცესში. ამიტომ, უსინათლოთა და სუსტადმხედველთა ადაპტიური ფიზიკური აღზრდის და სპორტის განვითარების მიზნით, საჭიროა გასულ საუკუნეებში მოღვაწე წინამორბედთა ნაშრომების შესწავლა და ანალიზი, მათი აზრების და საერთოდ, უსინათლოთა და სუსტადმხედველთა ფიზიკური აღზრდის და სპორტის საწყისების შესწავლა.

როგორც ირკვევა, უსინათლოთა პარმონიული და ყოველმხრივი განვითარების იდეები იყო და დღესაც რჩება აქტუალურ პრობლემად. ამავე დროს, უნდა აღინიშნოს, რომ წარსულში ამ დარგში მოღვაწე გამოჩენილი ტიფლოპედაგოგები (ბერძ. უსინათლოთა პედაგოგიკა-მეცნიერება, რომელიც სწავლობს უსინათლოთა აღზრდისა და განათლების პრობლემებს. დეფექტოლოგიის დარგი.) უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდნენ უსინათლოთა ფიზიკურ აღზრდას, როგორც მათი ცხოვრებაში დამკვიდრების ერთ-ერთ აუცილებელ საშუალებას.

ჯერ კიდევ 1784 წელს, პარიზში, დაიწყო უსინათლოთა თავისებურებების კვლევა. ევროპის მოწინავე ქვეყნებში იხსნება სკოლები უსინათლოთათვის: პარიზში (1784), ვენაში (1804), დრეზდენში (1804).


გამოჩენილმა ფრანგმა ტიფლოპედაგოგმა პიერ ვილეიმ, თავისწიგნში „უსინათლოთაპედაგოგიკა“ —



აღნიშნა, რომ — „აღზრდის მთავარი მიზანია, ბავშვი გამოვტაცოთ სიბრმავის ტყვეობას“. მეცნიერი, უსინათლო პიროვნების აღზრდის, განათლების და შრომითი მომზადების პროცესში უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა ფიზიკურ ვარჯიშებს, მოძრავ თამაშებს და მათი საშუალებით სივრცეში ორიენტაციის უნარის განვითარებას.

XIX საუკუნის პირველი ნახევრის გამოჩენილი ტიფლო-პედაგოგები ვ. აი უი, დ. ბრაილი, ი. კლეინი, თ. ცეინი, გრიგორი და სამუელ გოუები გამოთქვა მდნენ მთელ რიგ საინტერესო მოსაზრებებს, რომლებმაც უსინათლოთა ადაპტაციის პროცესში საფუძველი დაუდეს ფიზიკური ვარჯიშების აქტიურ გამოყენებას.

ევროპის წამყვან სწავლულებს არც რუსი მეცნიერების ჩამორჩნენ. დიდია გამოჩენილი რუსი ტიფლოპედაგოგის კ.კ.გროტის ღვანჩლი უსინათლოთა ადაპტიური ფიზიკური აღზრდის განვითარების საქმეში. 1881 წელს მან პირველმა გახსნა პეტერბურგში, უსინათლოთა ორწლიანი სკოლა. სასწავლო პროგრამაში სხვა საგნების გვერდით ჩართო სიმღერა და ტანკარჯიში. კ.კ.გროტი დიდ ყურადღებას აქცევდა ტანკარჯიშს, სხეულის გაკაუებას და აქედან გამომდინარე, მოსწავლეთა ჯანმრთელობას. ის აუცილებელ პირობად თვლიდა უსინათლოში მოძრაობის სურვილის გაღვიძებას. უსინათლოთა



სკოლის ამოცანას წარმოადგენდა დამოუკი დებელი და საზოგადოებისათვის სასარგებლო პიროვნების აღზრდა. ამისათვის ისინი თვლიდნენ, რომ უსინათლოსათვის აუცილებელად უნდა მიეცათ: 1) ფიზიკური, გონებრივი, ზნეობრივი განვითარება და 2) პრაქტიკული ცოდნა.

ფიზიკური განვითარების პირველ რიგში დაყენებით, ისინი ხაზს უსვამდნენ იმ ფაქტს (რეალობას), რომ სრული ფიზიკური განვითარების შემდეგ, უსინათლოებში უფრო კარგად მიმდინარეობდა გონებრივი და ზნეობრივი აღზრდა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეძენა.

შვედი მეცნიერი დოქტორი პიკარი, უსინათლოთა ფიზიკური აღზრდის პროცესში დიდ ყურადღებას აქცევდა სიარულის განვითარებას. იგი აღნიშნავდა, რომ „უსინათლო ცუდად იყენებს სიარულს როგორც თავისუფალი მოძრაობისა თვის, ასევე სხვადასხვა შემთხვევებისაგან თავის დასაცავად, რომელსაც აუცილებლად გადაეყრება საკუთარი უძლურების გამო. მის მოძრაობას ხშირად ართულებს მოუხეშაობა, სუსტიდამერყევიტორსიდაა.შ.“ და მათ სთავაზობდა სპეციალურ ტანვარჯიშს, რომელიც ითვალისწინებდა ამ დეფექტების აღმოფხვრას. დოქტორი პიკარი გვასწავლის, რომ კარგად კომბინირებული მოძრაობა, ანვითარებს სახსრების მოქნილობას, ხელს უწყობს მუსკულოატურის, ფილტვების და გულის სწორ მუშაობას. სპეციალური სწავლების ყოველ ეტაპზე მოსწავლეებისაგან მოითხოვდა სხვისი დახმარების გარეშე მოძრაობას და მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში ესარგებლათ ამით.

1819 წელს, გერმანელმა ტიფლოპედაგოგმა, იოჰან ვილჰელმ კლეინმა, ყურადღება მიაქცია იმას, რომ უსინათლოებს სუსტად ჰქონდათ განვითარებული ზედა კიდურები. ის წერდა—„უსინათლოს ხელები უწევს თვალის მაგივრობას. ამიტომ სუსტად განვითარებული ხელები, სწავლის დროს მათვის დიდ დაბრკოლებას წარმოადგენს“. ამასთან დაკავშირებით, იგი ურჩევდა პედაგოგებს ფიზიკური აღზრდის პროცესში დიდი ყურადღება მიექციათ ზედა



კიდურების განვითარებისათვის.

ცნობილი რუსი მეცნიერი პ. ფ. ლესგაფტი, რომელმაც შექმნა ფიზიკური განათლების თეორია, წერდა—“ფიზიკური, გონებრივი და ზნეობრივი განათლება იმყოფება ისეთი მჭიდრო და უწყვეტ კავშირში, რომ განავითარო ერთი და ყურადღება არ მიაქციო მეორეს სრულად დაუშვებელია”. მისი აზრით—“ფიზიკური აღზრდის ძირითადი დებულება არის ის, რომ ყველა აუცილებელ მოქმედებასთან ერთად, უსინათლო მოსწავლეების სწავლება აუცილებლად წარმართულიყო არა ჩვენებით, არამედ მხოლოდ და მხოლოდ სიტყვიერი გადაცემის მეთოდით”.

მნიშვნელოვანი განვითარება განიცადა უსინათლოთა ადაპტიური ფიზიკური აღზრდის თეორიაში საბჭოთა ხელისუფლების წლებში. ლ.ს.ვიგოდსკის, ა.ა.კროგიუსის, ბ.ი.კოვალენკოს და სხვა გამოჩენილი სწავლულების სამეცნიერო-პედგოგიურმა გამოკვლევებმა დიდი ზეგავლენა მოახდინა ტიფლოპედაგოგიკის განვითარებაზე.

უსინათლოთა ადაპტიური სპორტის განვითარება დაკავშირებულია საკავშირო უსინათლოთა საზოგადოების ჩამოყალიბებასთან, რომელიც დაარსდა 1924 წელს. საკავშირო უსინათლოთა საზოგადოების ცენტრალურმა სამმართველომ თავის თავზე აიღო საბჭოთა კავშირში უსინათლოთა ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განვითარების ყველა საკითხი. იმ დროს, აღნიშნულ საზოგადოებას საკმარისი ფინანსური შესაძლებლობები გააჩნდა ამ საქმის ცხოვრებაში განხორციელებისათვის.

ამჟამად მსოფლიოში დიდი აღმავლობით ვითარდება უსინათლოთა ადაპტიური ფიზიკური აღზრდა და სპორტი. უსინათლოთა სპორტულ მოძრაობას სათავეში უდგას და ხელმძღვანელობს მსოფლიოს უსინათლოთა სპორტული ასოციაცია (IBSA), რომელიც 1981 წელს შეიქმნა.



## გადააღმილების ახალი ტექნოლოგი

ადამიანის ენის ტკაცუნით მართული  
საინვალიდო ეტლი

მეცნიერებმა შეიმუშავეს ახალი ტექნოლოგია, რომელიც ადამიანებს ეხმარება გადაადგილდეს ინვალიდის ეტლით ენის უბრალო ტკაცუნის გამოყენებით. აპარატი შედგება ელექტრონული მოწყობოლობისაგან, რომელიც შეიძლება დაპროგრამდეს რვა სხვადასხვანაირი მნიშვნელობის ხმაზე. ეს შესაძლებელია ჩამონატაჟებული მიკროფონის საშუალებით, რომელიც აანალიზებს გამოცემულ ხმებს, გადასცემს კომპიუტერს და ეს უკანასკნელი კი იძლევა ბრძანებებს: დაიწყე მოძრაობა, გაჩერდი, მოუხვიე და ა.შ.



კონსტრუქტორები იმედოვნებენ, რომ ეს გამოგონება განსაკუთრებით შეუმსუბუქებს ცხოვრებას შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მრავალ ადამიანს. ხერხემლის ტრაგმით მიღებული მძიმე დაზიანების გამო მრავალ ადამიანს შეუძლია მხოლოდ ენის მოძრაობა. აღნიშნული ელექტრონული ეტლის სამართვად გამოიყენება მხოლოდ 4 ძირითადი უსტი: ენის ტკაცუნი მარჯვენა და მარცხენა ლოყაზე, ცენტრალური ტკაცუნი და პირის თაღიდან ტკაცუნი. დანარჩენი 4 ბრძანება სრულდება ზემოთ ნახსენები 4 ბრძანების ორმაგი გამეორებით. ასე, რომ მომხმარებელს შეუძლია ეტლი მართოს თავის შესაძლებლობის მიხედვით.

შპონის საინვალიდო ეტლი

(იაპონია) კუნძულ კიუსიუზე მდებარე ქალაქ ფუკუიკას უნივერსიტეტთან არსებულ საავადმყოფოში გამოჩნდა უნიკალური საშუალება, რომელიც ექიმებს დაეხმარება პაციენტებთან მუშაობაში. ეს გახლავთ ჭკვიანი საინვალიდო ეტლი, რომელსაც პაციენტები გადაჰყავს კლინიკის ტერიტორიაზე. მისი შესაძლებლობები შემონმებული იქნა აპარატის ექსპლოატაციაში ჩაბარების დროს.

შემონმების დროს, ეტლი მიესალმა პაციენტს, მაშინ, როდესაც პაციენტი აძლევდა სამოძრაო რუქას. პაციენტის ეტლში ჩაჯდომის შემდეგ, ეტლიდაირა და გადაიყვანა სამედიცინო გამოკვლევის ოთახში. მრავალი სხვადასხვა შესაძლებლობის გარდა, ეტლს შეუძლია აგრეთვე კედლის განლაგების სამგანზომილებიანი სტრუქტურის დამახსოვრება. საათში მისი მაქსიმალური სიჩქარე 4 კილომეტრია. მას შეუძლია აგრეთვე გვერდი აუაროს წინააღმდეგობებს. მაგრამ ყველაზე საინტერესო საინფორმაციო პანელი, სადაც გამოისახება დრო, რომელიც უნდა გაიაროს ეტლმა მანამ, სანამ ექიმი შეძლებს შემდეგი პაციენტის გასინჯვას.



### რა არის გუგოლი?

10 000 000 000 000 000 000 000 000 000 000  
000 000 000 000 000 000 000 000 000 000 000  
000 000 000 000 000 000 000 000 000 000 000.

აი, რა არის გუგოლი! ეს სიტყვა მოიფიქრა ამერიკელმა მათემატიკოსმა, დოქტორმა ედვარდ კაზნერმა იმ რიცხვის აღსანიშნავად, რომელიც შედგება ერთანისა და ასი ნულისაგან. ამ რიცხვზე დიდი იქნება გუგოლპლექსი-ეს არის ციფრი ერთი გუგოლის ტოლი ნულებით. ერთმა მეცნიერმა გამოიანგარიშა, რომ მსოფლიოს შექმნის დღიდან დედამიწას დაეცა მხოლოდ ერთი გუგოლი წვიმის წვეთი.

მაგრამ, რატომ ავდელდეთ გუგოლებზე და ნონილიონებზე (1 და 30 ნული) ან ასეთ რიცხვზე, როგორიცაა ნოვემდეცილიონი (1 და 60 ნული)? მაშინ ერთი მილიონი (1 და 6 ნული) წარმოადგენს უმნიშვნელო სიდიდეს. მართლაც, სულ რაღაც მილიონის სამი მეათედი დღე გავიდა იულიუს ცეზარის მმართველობიდან. სცადეთ გადათვალოთ-ამბობს კაზნერი, -ერთდოლარიანი ერთი მილიონი საკრედიტო ბილეთი (წუთში 60 ბილეთი სიჩქარით ხუთდღიანი სამუშაო კვირის მთელი 8 საათის განმავლობაში) ამას დასჭირდება დაახლოებით 7 კვირა.

ერთი ბილიონი ესაა 1 000 მილიონი. ერთმანეთზე დაწყობილი ერთი ბილიონი ერთდოლარიანი ქაღალდების შეკვრა 125 მილი სიმაღლისაა. საათში 300 მილი სიჩქარით მფრინავი თვითმმარინავის პროპელერს წუთში 2400 ბრუნისას დასჭირდებოდა ერთ წელზე მეტი, რომ გააკეთოს მილიონი ბრუნი კვირაში 7 დღელამის განმავლობაში უწყვეტი ბრუნვისას. ახლა ვცადოთ წარმოვიდგინოთ ტრილიონის ზომა. ერთი ტრილიონი ეს არის 1 000 ბილიონი. ერთმანეთზე დაწყობილი ერთი ტრილიონი ქაღალდების შეკვრა დაიკავებს დედამიწიდან მთვარემდე მანძილის ნახევარს. ათასი ტრილიონი არის ერთი კვადრილიონი, რომელიც შემდეგნაირად გამოიხატება: 1000 000 000 000 000.

ახლა ავიღოთ ოქტილიონი (1 და 27 ნული) ან ვიგინტილიონი (1 და 63 ნული). მაგრამ, რატომ შევიჭრათ ასეთ სილრმეში? საანგარიშო-გამოთვლითი მანქანის გარეშე ძალიან ძნელია მილიონების, ბილიონების და ტრილიონების დამახსოვრება.

ერთი რჩევაა: მივბაძოთ სამხრეთ აფრიკის ჰოტელტების ფილოსოფიას. მათ ლექსიკონში არ არის რიცხვითი სახელი ციფრი სამის ზემოთ. შეეკითხეთ ჰოტელტოს რამდენი თითი აქვს და გიასუხებთ: "ბევრი". ცხოვრება უფრო იოლად წავა, თუ არ შევწუხდებით გუგოლებზე.

უურნალი „მეცნიერება და ტექნიკა“ 4.19736.

### საოცარი ფუტკარი

მუშა ფუტკარი ცოცხლობს 35 დღე. და შრომობს მთელი დღელამის განმავლობაში. იგი 200 გრამი თაფლის მოსატანად მილიონამდე ყვავილს სტუმრობს და ამისათვის დაფრინავს იმდენს, რამდენიც საჭიროა დედამიწის ერთჯერ შემოსავლელად.

### მიზანი

#### სიცილი — ჯანმრთელობის წამალია

ერთ წუთიან სიცილს ადამიანისათვის მოაქვთ იმდენი სარგებელი, რამდენიც 45 წუთიან ფიზიკურ დატვირთვას. ადამიანის ჯანმრთელობისადმი მიღვინილი გერმანული უურნალის „Potneke Unschau“-ს ბერლინელმა გელოტოლოგმა (სიცილის ექსპერტმა) გიუნრეტ სიკლიმ განმარტა, რომ სიცილის პროცესში ჩართულია კუნთების 80 ჯგუფი. მოქმედებები მხრები, ძლიერ რხევას განიცდის მკერდის წნული, დიაფრაგმა განიცდის ვიბრაციას, ხშირდება გულისცემა, მატულობს არტერიული წნევა, სუნთქვის გახშირების შედეგად სისხლში იზრდება ყნებადის რაოდენობა.

ითვლება, რომ ყველაზე ბევრს ბავშვები იცინიან. მაგრამ პროფესორი სიკლი ამტკიცებს, რომ თანამედროვე ბავშვები თავის წინამორბედ ბავშვებზე გაცილებით ცოტას იცინიან. ბავშვები, საშუალოდ იცინიან დღეში 400-ჯერ, ხოლო უფროსები, სულ რაღაც 15-ჯერ.

მათ, ვისაც სურს ჯანმრთელობის შენარჩუნება მეცნიერი ურჩევს აირჩიონ ფიტნეს-კლუბი ან სიცილის კლუბი, რომლებიც განსაკუთრებით ბევრია გერმანიაში.

#### უსინათლომ დაიპურო ევერესტი

25 წლის ებრაელმა ბეზა ნაბაბამ, რომელიც დაბადებიდან უსინათლოა, აისრულა დიდი ხნის ოცნება. მან მხარდამჭერ ჯგუფთან ერთად, რომელიც დააფინანსა ბიზნესმენმა ოფერა ბენდორამ, დაიპურო ევერესტი.

ბეზა ნაბაბამ ევერესტს შეუტია 2008 წლის პეკინის ზაფხულის პაროლიმპიური თამაშების დამთავრების შემდეგ, სადაც მან, მიუხედავად ფეხის ტკივილისა, დაიკავა მე-5 ადგილი მარათონულ რბენაში.

ევერესტის დამპურობა ეს ლაშქრობა მიუძღვნა იმში დალუპული თავისი ძმის ხსოვნას.

#### უსინათლოთა ლაშქრობები

უსინათლოთა ლაშქრობებს მსოფლიოს უმაღლესი მწვერვალების დასაპყრობად საფუძველი დაედო 2001 წელს. პირველი უსინათლო ალპინისტი, რომელმაც ევერესტი დაიპურო იყო 32 წლის ამერიკელი ერიკ ვაიხენმაიერი. მას აცილებდა 64 წლის შერმან ბული, რომელიც გახდა ყველაზე ხანდაზმული არა მარტო ევერესტის, არამედ მსოფლიოს უმაღლესი მწვერვალების დაპყრობი.

ერკი ორიენტირებდა პატარა ზარის ხმაზე, რომელიც ტანსაცმელზე ეკიდა შერმანს. 2002 წლის სექტემბერში ერიკ ვაიხენმაიერი გახდა მსოფლიოში პირველი უსინათლო ალპინისტი, რომელმაც შესძლო მსოფლიოს ყველა უმაღლესი მწვერვალის დაპყრობა.



ძვირფასო მკითხველო, გთხოვთ, ითანამშრომლოთ

ჩვენს უურნალთან. გამოგვეხმაურეთ, მოგვწერეთ

თქვენს ისტორიაზე, თქვენი ცხოვრების ამბებზე.

გამოგზავნეთ თქვენი ლექსი, მოთხოვთა თუ საკუთარი

ბიოგრაფია. ნუ დაიზარებთ, გაუზიაროთ თქვენი

ცოდნა და გამოცდილება სხვებს.

ვიყოთ ერთმანეთის იმედი.

**ISBN 1987-7161**